

ლიტერატურული გაზეთი

№5 (237) 15 - 28 მარტი 2019

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

ზაალ სამადაშვილი

რასაც ყველა ვერ ხედავს

კარგად ჰყვება, ძალიან კარგად... აი, დაახლოებით ისე, დონალდ ბისეტი რომ მოჰყვებოდა თავის ზღაპარს ადმირალ ნელსონის ქანდაკებისა და ტრაფალგარის მოედანზე მობაჯბაჯე მტრედ არტურის დამპობილების შესახებ.

სახლზე ჰყვება, ტყის პირას მდგარ ხის სახლზე — ძველზე, ქარის წამობერვისთანავე ჭრიალს რომ იწყებს, მის ბინადარზე, გამხდარ, სახედაღარულ ბერიკაცზე, სხვა, ჩვეულებრივ ბერიკაცებს რომ არ ჰგავს, მათსავით მოკლე, უღონო ნაბიჯებით არ გადაადგილდება, არც სქელი სვიტრი აცვია პაპანაქება ზაფხულში და მიუხედავად იმისა, რომ ჩიბუხს ეწევა, ყრუდ და გადაბმულად არ ახველებს...

//



სოსო მეშველიანი

მარტოობა

კვლავ გადმოსერა მდუმარე სივრცე,
გამოსცდა სოფელს,
ჭაობიან მინდორს, გზატკეცილს —
და ძველი სახლის ყრუ კედლებშიც შემოაღწია,
ნაშუალამევს, მოგუდულმა ყეფამ, ქოფაკის.

და დამრჩა განცდა, იდუმალი, შეუცნობელი,
ან იქნებ ყოვლად უსარგებლო, ამაო, ფუჭი —
სადღაც ზღვის პირად გაისუსა ღამის სოფელი,
დადუმდა ძალიც, ახლა მხოლოდ პატარა ქუჩის

კუთხიდან აღწევს ყრუ ხმაური, იქ სადაც ახლა
ნაგავს იღებენ ან ნაგვიან ქუჩებს ხვეტავენ.
რა შეიცვლება, მარტოობის ნაჭუჭს თუ გახრავ
და იქ მოხვდები, სადაც ზედაც არ შეგხედავენ?!

არც არაფერი. ეს ქალაქი, სისხამ დილით რომ
მსუბუქად სუნთქავს,
საღამოს კი ძალიან მძიმედ,
უცხოა, თუმცა, შენს მშობლიურ ქალაქზე მეტად
ეს ზრუნავს შენზე,
შანსსაც გაძლევს, ან შანსის იმედს.

///



ეკა კვიციანი

*

მე ვწერდი შენზე.
ლურჯი, უძირო სამელნედან
წვალეებით ამომქონდა სიტყვები,
რომლებიც მხოლოდ შენთვის ლაპარაკობდნენ.

მაგრამ ისინი გაშრნენ და გახმნენ,
ფორმა და ფერი ისე იცვალეს,
ვერცერთი მათგანის ამოცნობა
შენ ვერ შეძელი.

დიდი ხანია, აღარ ვიცი,
სად დავმალო სველი თითები,
რომ ლურჯი ტბისკენ არ გამექცნენ
მკვდარი სიტყვების ამოსაყვანად...

დიდი ხანია,
ვერდიები ლურჯ სამელნეში თითების დასვრას —
ვაითუ, ლალატი და
სხვისთვის წერა ისწავლეს...

IV



ზაალ სამადაშვილი რასაც ყველა პერ ხედავს

დასაწყისი პირველ გვერდზე

ჰყვება, როგორ გამოდის ის დილაადრიან ჭრილა სახლიდან, შორს არ მიდის, იქვე, ათიოდ ნაბიჯში, ტოტებგაბარულული ხის ქვეშ ჯდება, ხე ისეთი დიდია, ნახევარ ეზოს ჩრდილავს და კენწეროს ცას უწვდენს, მაგია უდგას იქ და სკამი, ეზოსთვის გამოჩორკნილები კი არა, შინიდან გამოტანილები — ლამაზები, ძველებურები; ნიგნებიც, ორი ან სამი, წინ რომ იწყობს — ძველებია, გახუნებული ყდებით და ჩაყვითლებული ფურცლებით...

აღწერს, როგორ კითხულობს ბერიკაცი — სკამის ზურგს არის მიყრდნობილი, ფეხი-ფეხზე აქვს გადადებული, შერჩეული ნიგნი მუხლზე უდევს, გადასაფურცლად ცერა და საჩვენებელ თითებს ჰკიდებს თითოეულს, რომ არ დაეჭმუჭნოს. საათისათნახევარი თითქმის გაუნძრევლად ზის, ცხვირზე ჩამოცურებულ სათვალეს თუ შეისწორებს დროდადრო... როცა წიგნს ხურავს და მაგიდაზე აბრუნებს, დგება, წელზე იჭდობს ხელებს და უკან იხრება, მხრებს ამოძრავებს — დალილობას მიერეკება სხეულიდან...

ამის მერე მზადებას იწყებს — შარვლის ჯიბიდან ამოცოცებული ჯავყა-დანით დიდხანს და გულმოდგინედ უთლის წვერებს ახალთახალ საშლელიან ფანქრებს, თლას რომ ამთავრებს, კვლავ დოინჯს იყრის და მზერას ნიგნების გვერდით მოთავსებულ ფურცლების დასტას აპყრობს, მის ცქერას დაჯდომის შემდეგაც განაგრძობს, ამ ჯერზე სკამის ზურგს აღარ ეხება, გამართული ზის, ორივე ხელი მუხლებზე უდევს, როდის-როდის მარჯვენა ხელს ზევით, მაგიდისკენ სწევს, ფანქარს იღებს და დასტის სულ ზედა ფურცელზე ასოების გამოყვანას იწყებს, წელს ირჯება, თითქოს უმცროსკლასელი მონაფე იყოს და შეცდომის დაშვების ეშინოდეს...

ცოტა ხანში ეს სიფრთხილე თუ გაუბედაობა სადღაც ქრება და ფანქარი სულ უფრო და უფრო სწრაფად იწყებს მოძრაობას მარჯვნიდან-მარცხნივ, მარჯვნიდან-მარცხნივ. ჯერ ერთი ფურცელი ივლება მოკლე და გრძელი სიტყვებით, მათი გამოყოფი სასვენი ნიშნებით, მერე მეორე, მესამე და ასე შემდეგ...

ორ თუ სამ ფანქარს რომ გამოიცვლის წვერის განლევის გამო და ქალაქების დასტასაც ლამის გაანახევრებს, კვლავ კითხვის დრო დაუდგება, ოღონდ წიგნების არა, თვითონ რაც წერა — იმისი. კითხულობს და ასწორებს, რალაცას მთლიანად შლის, რალაცის გადასაკეთებლად წაშლილის ნაცვლად სხვა სიტყვებს წერს... საშლელებიც ფანქრის წვერების ბედს იზიარებენ, ისინიც ილევიან...

ამასობაში მზე გადადის, მისი სხივები, სვეტებად რომ იყვნენ ჩამომდგრები ტოტებს შორის, ახლა გვერდიდან, ირიბად ანათებენ ფოთლებს. ბერიკაცი ფართო-ფარფლებიან ჭილის შლაპით სახეს ნიკაპამდე იფარავს და სკამის ზურგს მოხერხებულად აყრდნობს ბეჭებს. ირინდება, თავის კანტურის მიხედვით, ჯერ თვლემს, მერე ძილს ეძლევა...

დამავინყდაო, ამბობს მთხრობელი, ეს მისი განუყრელი შლაპაა, რომელიც შინიდან გამოსვლისას ეხურა და ხის ქვეშ რომ დაჯდა, მაშინ მოიხადაო... და განაგრძობს, მთავარი ამბავი მერე ხდება, ჭრილა სახლს რომ უბრუნდება ბერიკაცი, იმ კარს რომ მიიხურავს, დილით რომ გამოალოო. მანამდე, ღობესთან ახლოს, მაყვლის ბუჩქების უკან მჯდომი, ეზოში ვიპარები, ფეხაკრეფით ავდივარ კიბეზე და კარის საკეტის ნაჩვერტში ვიჭვრიტებო...

და ყველა, ვინც უსმენს, მისი თვალებით ხედავს მკრთალად განათებულ ოთახს, სინათლის სუსტ წყაროს — აპარპალებულ ნავთის ლამფას, რომლის შუქი მხოლოდ ოვალურ მაგიდას და მის ირგვლივ შემოწყობილ ოთხ სკამს წვდება... ბერიკაცი ვახშობს. მწირია მისი საკვები — პური, ყველი, შუაზე გაჭრილი პომიდორი, რომელსაც მარილს აყრის და ისე შეექცევა და



მუცლიანი ბოთლით ღვინო, დანაყრებისა და მაგიდის ზედაპირიდან ნამცეცების გადაყრის შემდეგ ნათალ ჭიქაში რომ ისხამს და როგორც ეზოში, კითხვისას, სკამზე გადანოლილი, ფეხი-ფეხზე გადადებული, ნელ-ნელა, დაგემოვნებით, მცირე ყლუპებით სვამს...

მოულოდნელად, ოთახის რომელიღაც კუთხეში, სადაც ლამფის შუქი ვერ აღწევს, იატაკი აჭრიალდება. ბერიკაცი წამოდგება, თავს მსუბუქად დაუკრავს ვილაცას და მოპირდაპირედ, მაგიდის მეორე მხარეს გაიშვრის ხელს, მიანიშნებს — დაბრძანდითო...

საკეტის ნაჩვერტიდან არ ჩანს, ვინ გამოსწევს სკამს და ვინ დაეშვება მძიმედ მასზე. გასაღების მოსარგებად განკუთვნილი ხერელიდან მხოლოდ ხელჯოხის ტარზე დასვენებული მტევნების დანახვა შესაძლებელი და ძველებური სამაგრიით დამშვენებული თეთრი რგოლისა — პერანგის სახელოსი, რომელიც მაჯას უფარავს...

ყველაზე გასაოცარი და იდუმალი სტუმრის გამოჩენაში ის არის, რომ ოთახს სხვა კარი არა აქვს იმის გარდა, რომელსაც მე ვარ აკრულიო, განმარტავს მთხრობელი და ამატებს, მუქი ფარდებით დამანული ორი ფანჯარაც მხოლოდ აივანზე გამოდის, ვერც ფანჯრიდან შეაღწევს ვინმე შეუმჩნეველად...

ასეა თუ ისე, ბერიკაცი მარტო აღარ არის ოთახში. რა მიზნით მიევილია სტუმარი და ვინ არის იგი, ამის დადგენა შეუძლებელია, რადგან ის არათუ არ ჩანს, არამედ რას ლაპარაკობს, ისიც არ ისმის. ხმადაბლა საუბრობენ, თითქმის უწყვეტად — ერთი რომ ამთავრებს სათქმელს, მეორე იწყებს და პირიქით, სიტყვებისა და წი-

ნადადების ნაცვლად ყრუ დუდუნი აღწევს კარის საკეტამდე...

მომდევნო საღამოსაც მსგავსი რამ ხდება. კვლავ აჭრიალდება იატაკი ჩაბნელებულ კუთხეში და კვლავ ვილაც დაჯდება ხრიგინით გამოწეულ სკამზე... ოღონდ ამჯერად ხელჯოხის ტარზე ჩამოწყობილი დაძარღვული ხელების მაგივრად მოკლე, კოჭებს აცდენილ ვინრო შარვალში გამოკვალთული ქალის წვივები გამოჩნდება და სმენისთვის მიუღწევადი საუბარიც განსხვავებულ ტონალობას შეიძენს...

მესამე საღამოს სტუმარი სამხედრო ყაიდის შორტით და ტყავის სანდლებით ცხადდება. მისი ხელიც გაილეგებს ერთიორჯერ, როცა ბოთლისკენ გაიწვდენს ჭიქაში ღვინის ჩამოსასხმელად, გარუჯული, ღონიერი, ჭალარა ბალნით დაფარული მარჯვენა, მუშაკაცებს და მეზღვაურებს რომ აქვთ, ისეთი. მასთან საუბრის თემაც, წინა ორის მსგავსად, კვლავ გამოცანად რჩება...

ბავშვებს სწვევიათ — უცნაურობას რომ დაატყობენ, დანარჩენებისგან რომ განასხვავებენ, ისეთი ადამიანებით დაინტერესება, დაკვირვება, თვალყურის დევნება, რაიმე მართლა ძალიან უცნაურის აღმოჩენა მათში და მერე ხმადაბლა, ლამის ჩურჩულით, საიდუმლოებას რომ შეეფერება ისეთი გამომეტყველებით — მისი გამყვანება. მეც ასე მოვიქცეო, ამბობს მთხრობელი...

ის ახლა შუახნის კაცია, ხოლო მაშინ, როცა მოხუცისა და მისი იდუმალი სტუმრების ამბავი მოუყვლია თანატოლებსთვის, თორმეტ-ცამეტი წლისა ყოფილა. ჩამდგარა ერთხელაც მათ შორის და წერილად აღუწერია ის, რაც დაუნახავს

ჭრილა სახლის აივანზე აპარულს, წელში მოხრილს და კარის საკეტს მიციბულს. ბიჭებს, სამს თუ ოთხს, მასავით მოკლეს-შარვლიანებს და მუხლებგადატყაულებს, თვალგადადიებულებს უსმენიათ მისთვის და თხრობის დასრულებისთანავე უთხოვიათ, კიდევ რომ დააპირებ იმ აივანზე აპარვას, გვითხარი და გამოგყვებითო...

ხვალვე ნავიდეთო, უთქვამს მონათხრობის შედეგით — თანატოლების გაოცებით — კმაყოფილს. უფიქრია, საკუთარი თვალთ რომ ნახავენ იმას, რაც მოისმინეს, მერე უფრო მაგარი იქნება მათი გაოგნებული სახეების ყურებაო. მეორე საღამოს ერთის ნაცვლად ოთხ ბიჭს აუვლია აივნის კიბე ფეხაკრეფით.

ეზოდან სახლში გადანაცვლებულ ბერიკაცს შებინდებამდე ღობის გადაღმა ბუჩქებში განაბულები ლამის ფეხდაფეხ მიჰყვლიან. პირველს, რა თქმა უნდა, ამ საქმის მოთავეს შეუჭყეტია კარის საკეტში და რიგრიგობით დანარჩენებიც მიუხშია იგივეს განსახორციელებლად. ის კი დაუნახავთ ბიჭებს, როგორ ვახშობს ჭრილა სახლის ბინადარი, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, როცა მათ მეგზურს სტუმრის სილუეტიც დაულანდავს ოთახში და კვლავ მიუდებინებია შუბლები კარისთვის, სამივეს, გამოუწვია თუ არა თავი, უთქვამს, ბერიკაცი მარტო უზის მაგიდას, იქ სხვა არავინააო. ამ სიტყვების მოსმენით გაკვირვებულს, კიდევ ერთხელ გაუჭვრეტია გასაღების ფორმის ღრიტოში და ჩურჩულით უკითხავს, როგორ თუ არავინ არის, განა ვერ ხედავთ მის წინ მჯდარი ვილაც კაცის მაღალყვლიან ჩექმებსა და და გრძელი მოსასხამის კალთასო?.. კვლავ აკვირან ბიჭები კარს სათითაოდ და კვლავ იგივე გაუმეორებით მისთვის, ბერიკაცი



მარტო არის ოთახში. თხოვნისთვის, კარგად დააკვირდით, შეუძლებელია, მის გარდა ვერავის ხედავდეთო, ბიჭებს დამცინავი ღიმილით უპასუხიათ, მაგარი მატყუარა ვინმე ყოფილხარო და აივანი დაუტოვებიათ...

სხვა რაღაცას ველოდიო, განაგრძობს მთხრობელი, საკუთარი თვალთ ნანახით გაოგნებას — როგორ ჩნდება ჩაკეტილ, ყველა მხრიდან დახშულ სივრცეში ვიღაც, ვისაც არც კარი შეუღია და არც ფანჯარა, შეკითხვების დაყრას ამ ჯადოქრობის ასახსნელად, დაინტერესებას იმ ადამიანის ვინაობით, რომლის ძველებური, სათავგადასავლო ნიგნების ილუსტრაციებში თვალმოკრულის მსგავსი ჩექმის ყელი და გრძელი მოსასხამის კიდე მოჩანდა ამ ჯერზე საკეტის ღრეჭოში... მაგრამ დაცინვას და განაწყენებას — ნამდვილად არაო...

თვითონაც აუთრევიან ნელი, ჩაუვლია კიბე, გადაუჭრია ეზო და თავჩაქინდრული შედგომია შინისაკენ მიმავალ გზას. სიბნელეში, ძაღლების შორეულ ყეფასა და ჭრიჭინობლების გულისგამანვრილებელ გადაძახილ-გადმოძახილში დაწყებული ფიქრი, გარკვევა იმისა, თუ რა მოხდა ამ საღამოს, დიდხანს გაგრძელებულა, ნლების მანძილზე... თავიდან ლამის უწყვეტად, მცირე ინტერვალებით, მერე და მერე ინტერვალები გაზრდილა, გახანგრძლივებულა, საათები დღეებად, დღეები კვირებად, კვირები თვეებად ქცეულა...

ცხელ გულზე საკუთარ თავს გაბრაზებია, საკუთარი თავი დაუდანაშაულებია სულსწრაფობასა და ამპარტავენებაში... თავის გამორჩენის და ყურადღების მიპყრობის მოულოდნელად აღმოცენებული სურვილისთვის დაუბრალებია ყველაფერი — უნანია, თანაც მწარედ, რომ ვერ გამკლავებია ამ ცდუნებას, მის შემოტევას, არ გაფრთხილებია თავის აღმოჩენას და არ უკმარია, ყოფილიყო მისი ერთადერთი მცოდნე და მფლობელი...

ოდნავ რომ გაგრძელებულა და ცივი გონებით განუსჯია ვითარება, ფიქრებს სხვა კალაპოტში დაუწყია დინება. ვითარება კი ასეთი ყოფილა — საშველი არ დადგომია იმ სამი ბიჭის დაოკებას, არა და არ უსვამდნენ თურმე წერტილს მის აუგად მოხსენიებას... ნამდაუნუმ ცრუპენტელის ნამოძახებას დაუეჭვებია, უფიქრია, რომ ასე მხოლოდ მაშინ იქცევიან, როცა კი არ საყვედურობენ ვინმეს — რატომ მოგვატყუეო, არამედ დამცირება, დაცინვა სურთ მისი. ამგვარი ქცევის მიზეზი შური უნდა ყოფილიყო, ხოლო შურს რა აღძრავდა, თუკი ვერ ხედავდნენ იმას, რაც ბერიკაცის ოთახში ხდებოდა. მაშასადამე ხედავდნენ, თანაც კარგად, როგორ ჩნდებოდა არსაიდან იდუმალი სტუმარი გრძელი მოსასხამით და მალაყელიდან ჩექმებით და არ ამბობდნენ, არ ამჟღავნებდნენ ამას... არ უნდოდათ იმის აღიარება, რომ მათ კი არა, ვიღაც სხვას აღმოაჩნდა დაკვირვების უნარი, მოთმინება და გამბედაობა, რომ პირველმა სხვამ მიაკვლია ჭრიალა სახლის საიდუმლოს და ის „სხვა“ მათი თანატოლი, არაფრით გამოირჩეული ბიჭი გახლდათ...

წყლების შემდეგ, ბავშვობა კარგა ხნის გასრულებული რომ ყოფილა, ამ ვარაუდსაც გასვლია ყავლი. მორიგ ჯერზე რომ მიბრუნებია იმ საღამოს, დაფიქრებულა, როგორ უნდა გასჩენოდა შურის გრძნობა სამ ბიჭს ერთდროულად, უნვალა და ვერა და ვერ გაუსხენებია მის წინააღმდეგ შეთქმულების, პირის შეკერის თუნდაც ერთი ნიშანი, მხრის ნაკვრა, გადაჩურჩულება, ან თვალის ჩაკვრა იმ დროს, როცა ოთხივე გვერდიგვერდ იყვნენ ჩაცუცქულნი... დაბნეულა და პირველად მაშინ გაუვლია თავში აზრად — იქნებ მართლა არაფერი ხდებოდა და მე მეჩვენებოდა, ჩემი წარმოსახვის ნაყოფი იყო ყველაფერი...

წარმოსახვის სიმწირეს არასოდეს ვუჩიოდი, არც მონიფულაობაში, ელიმება მთხრობელს, სწორედ მან, მისმა ბოლოქარმა დაუოკებლობამ განაპირობა ჩემი არჩევანი და კიდევ, ჩემს მიერ მიკვლეულ საიდუმლოებათა სხვებისთვის გამჟღავნების სურვილმა, რომელსაც ვერაფრით ვერ მოვერიეო...

მერე ჩერდება, შეტყუებულ თითებს — საჩვენებელს, შუას და არათითს — შუბლზე, სქელი ნაოჭების გასწვრივ ისვამს, მზერას უსწორებს ყველა მსმენელს და ეუბნება მათ — საღამოობით, თუ რომელიმე ცნობისმოყვარეობით აღვსილი ბიჭუნა ჩემი ოთახის კარს არის აკრული, საკეტის ჭურჭულთან იჭყიტება და ხედავს, ვინ მეცხადებთან სტუმრად ნავახშმევს, თამამად შეუძლიათ იფიქრონ, რომ მწერლებად არიან დაბადებულები... ასე განსაჯა განგებამ, ასეთია მისი ნება და მხოლოდ მათ, მომავალ მთხველებს შეუძლიათ დაინახონ ის, რასაც სხვები ვერ დაინახავენ, რაც უბრალო მოკვდავთათვის დაფარულია... რა საქმითაც უნდა დაკავდნენ ისინი თავიანთი ცხოვრების ამა თუ იმ მონაკვეთზე — მეზღვაურობა რომ გადაწყვიტონ და შორეულ ნაოსნობაში გაჰყვინენ უზარმაზარ გემებს, ჯარისკაცები რომ გახდნენ და ფიცხელ ბრძოლებში არაერთხელ მოუწიონ ჩაბმა, მინის დამუშავებას რომ შეუდგნენ და ბალ-ვენახები გააშენონ ხრიოკ ფერდობებზე, მრავალჭურვიან, გაბუღულ სამზარეულოში ფუსფუსი რომ ერჩივნოთ ყველაფერს და სხვებზე უკეთ ეხერხებოდეთ კერძების გემრიელად მომზადება — ბოლოს მაინც წერას მიჰყოფენ ხელს და იმ სავანეს მიაშურებენ, სადაც აღზნებული წარმოსახვა შვებას პოულობს...

დადგება დრო და მათთანაც მივლენ სტუმრად, მათაც გამოეცხადებიათ ყველა დროის დიდი მოკალმეები — ყოვლისმცოდნე უსინათლო ბიბლიოთეკარი, გაზრდილი და დაქალბული ჯინ ლუიზა ფინჩი, ნაადრევად დაბერებული ლოთი მონადირე და ლეპანტოს დიდი საზღვაო ბრძოლის სევდიანი გმირი...

სოსო მეშველიანი



გუშინ მთელი დღე მშრალად თოვდა, დღეს კი განვიმდა და ახლა წვიმა მწვანედ წვეთავს, თოვლზე, ნაძვიდან.
შერჩენილ ნაყოფს შესევიან ზღმარტლზე ჩხართვები, დამძიმდა თოვლი, თოვლთან ერთად სულიც დამძიმდა.

ღვინო

„როგორ ბრწყინავს მთვარის შუქზე ქათმის ფეხებით დახაზული თოვლის ზედაპირი!“ — იტყვის, ამ საყოველთაო სითეთრეში, ამ საყოველთაო მდუმარებასა და უძრობაში, მოძრავი ერთადერთი ლანდი, შემდეგ რომ ხალათს გაიხდის და წინკარში დატოვებს ბოსლის სუნს, ერთ დაღრეჯილ სკამზე.

კიდევ ნაკელით დასვრილ ფეხსაცმელს — შავ კვალს რომ ტოვებს თოვლის ბილიკზე. მართლა როგორ ბრწყინავს მთვარის შუქზე ხის ტოტებზე შეყინული თოვლი. როგორ ირეკლავს სინათლეს ცივს და უსიცოცხლოს. „შეხე, მესიარობაც გამომჩა“ — თქვა და რატომღაც მთვარეს ახედა. და უცებ, ამ გალუული ლანდის ზურგიდან, ცის ამ პირველყოფილი სილურჯის ფონზე, რომელიღაც შორეული მყინვარი ამოიზარდა, სამკუთხედად შეჭრილი, ვარსკვლავებიან სივრცეში.

ღვინო (სვ) — ხეზე შეყინული თოვლი.

კედარი. ჩრდილი. უკვე დილის თერთმეტი გახდა, ქალი აპურებს თუთიყუშებს ლიმონის ბალთან. უცნაურია! ოდინდელი ჩემი სიზმარი, სადღაც კუნძულზე, ასე მთელი სიზუსტით ახდა.

ბოლო აღმართი

ჩემს ძმას

ეს აღმართიც და შემდეგ დამრეც ბილიკს გაყვები, სად მთის სათიბთან გადახრილი ჯუჯა არყები დგანან, იქ სადაც ბოლო კვირტი ვერ ასწრებს გაშლას, ფერისცვალობა კვირტში უსწრებს, ამაოდ დამშვრალს, სად ჭანჭრობს ქვემოთ ქოხი მოჩანს, მწყემსის, და ყფით გამოობის ძაღლი, მეჯოგე კი თხის კეშს გამოფენს.

ეს აღმართიც და შემდეგ დამრეც ბილიკს გაყვები, იქვე დანმნდილ ველურ ხმებასაც, ვით საგალობელს, მიაყურადებ, ტყეს რომ მწუხრი შეუცვლის იერს, მწუხრი, ქოფაკის თვალეზივით სველი და მღვრიე.

იტყვი: „კვლავ აქ ვარ!“ ეს რა რამხელა ამბავი მოხდა, გეხვევა თავბრუ, გახარებულს ამ „დიდი“ ამბით და იფარფატებს ფიქრი სანამ მეჯოგის ქოხთან, ბნელში ავად არ შეირხევა მაღალი შამბი.

ასეთმა ღამემ გამოხმობა იცის მითების, მეჯოგემ (ლექსებს ვინც უძღვნიდა მურყვამის ცირცელს) პირში ჩაიყო თბილი შრატით სველი თითები, სტვენით გახაზა შუალამის მდუმარე სივრცე.

მერე არ მახსოვს, უცებ ისე წამილო ძილმა, გვიმრის ლეიბის სიუხეზე ვერ მეგრძნო დალილს. გაქრნენ ლანდები, ხმებიც მიწყდა და უკვე წვრილმან ამბებზე აღარ რეაგირებს, ეტყობა ძაღლი.

სასონარკვეთა

გია მეშველიანს


დრო მინდა გადავნიო უკან, არა ათვლის წერტილამდე — უფრო იქით, როცა არაფერი არსებობდა ჩემთვის, არც სიხარული, არც მწუხარება, არც ღმერთი... ერთი სიტყვით, „არაფერიც“ რომ არ არსებობდა, როგორც მილიარდი წლის წინ, ან მილიარდი წლის შემდეგ, ბნელი, ჩამქრალი გალაქტიკა, როგორც მკვდარი ღმერთის ღიად დარჩენილი თვალები.

დიდი ხნის პაუზის შემდეგ

ქაფიანი წყლით ტროტუარს და ასფალტს რეცხავენ, ბნელში სიყვითლე ილანდება ღია კაფედან. აქამდე თუ ვერ ვიშორებდი, ვერც დღე, ვერც ღამე, ახლა რატომღაც მოკარებაც ველარ გაბედა

ლექსმა. თუმცაღა პოეტობა ისე დამბრალდა, არც რამე განცდა სინანულის, კრძალვის თუ შიშის. ულექსებოდაც მშვენივრად ვგრძნობ, უფრო მძაფრადაც, ქალაქის ხმაურს, წვიმის შრიალს, ჩიტების ყიფიყვს.

ელექტრონული ბილბორდების ლაპლაპს თუ ციმციმს, გინდა მათის სურნელოვან ნაბლებს და ცაცხვებს, რომ არაფერი დააკლდება ულექსოდ, ვიცი, არც ჭვავის მინდორს, არც მთის ჭანჭრობს, არც ლელეს, არც ხეს. საკუთარ თავზე უკვე მოვრჩი ქირქილს და ლლიცინს, წავიდეს სხვაგან, ახლა სხვების წვალეზით გაძღეს.



ეკა კვიციანი

ჯერ ხმაური და უცხოობის ერქვა თავზარი, მერე ქვად იქცა, ადგილიდან ველარ დავძარი.

ის დარჩა ჩემში — დამარცხების ზარიც და ტაშიც, და ლურჯად ინვის გაბლანტებულ დუმლის ტბაში...

ამ დუმლიდან შენს სიზმრამდე თუ ველარ მოვალ, გადმოაბიჯე უსარგებლო სიტყვების გროვას,

შეხედე, როგორ ძლიერდება ცეცხლი შებერვით, იგრძენი სუნი ბიბლიური ნელსაცხებელის.

რომელიც ახლა, განურჩევლად დარის და ავდრის, ამ სიტყვისაგან აღმოდებულ სხეულზე ამდის...

იქნებ ამოხსნა, სიყვარული როგორ დაერქვა გზარეული, უხილავი ღმერთის ნატერფალს...

ბაღოზისა

სად წამიყოლეს სიზმრებმა, თოვლში რა გზები კვალეს, ბავშვობის სახლში დუმლი ჭირხლად ეკიდა კარებს...

თეთნულდის ძირში ქვითინით დალაღს იშლიდა დალი, ნანვიმარ თავშალს იხვევდა მხრებზე უდარო დარი...

უშბაზე ქარი უმტვრევდა სახურავს უფლის კარავს, ნისლი თეთრ ფთილებს სწირავდა ხეებს საუფლო კრავად...

სული გაბზარულ ჭურჭლიდან დილამდე პეშვით ვხაპე, ცრემლი სდიოდათ მირონად ნუხელ შემცივრულ ხატებს...

ვერ მიყვებოდა ბავშვობის ზღაპარს მიმცხრალი მთვარე, ვერც დოლორის ბუტბუტს ვუსმინე, ვერც ვარსკვლავები ვთვალე...

სასაფლამდე ბილიკზე თოვლს წაეშალა კვალი, არც ცეცხლი მქონდა წყვილიაღში, არც ასანთები კვარი...

სიზმრის სიზმარში მესმოდა ქარის მოთქმა და ზარი, არ ვიცი, თოვლი მმარხავდა თუ ტკივილების ზვავი...

ველარც სიზმრებმა ივარგეს — მოგზავნილებმა ციდან... ცხადი ფხიზლობდა სიზმარშიც, შიშის ფიქვებად ცრიდა...

*
ცის ბილიკით მხოლოდ შენსკენ მოვდიოდი, შიშველ ფეხებს ვაზომებდი დანისპირებს, რამდენჯერაც მოვალნიე, უნდობლობის ქარაფიდან გადაჩეხვა დამიპირე.

წვალებით და მისხალ-მისხალ შეეკონინდი, სხვა თუ არა, იმის ძალა უნდა დამრჩეს, გავეპარო სახლს, რომელშიც (შენც ხომ იცი), საკუთარ თავს ერთხელაც ვერ ვუდარაჯე,

რომ დუმლი, როგორც წმინდა ზიარება, თმენით მესვა, როცა ფსკერზე ვეშვებოდი, როცა ეჭვის სუსხი სულში წრიალებდა და სიცოცხლე მეღვრებოდა პეშვებიდან.

დღეს უფრთებოდ თუ შეეძელი სიარული, ცის თალიდან ჩამოვწყვიტავ ბენვის ხიდებს, რომ შენ ავად აღრენილი სინანულის უფსკრულებთან ვერასოდეს ვერ მიხვიდე...

თუ როგორმე ამ ნებოვან მინას გავცდი, მზეს მივანდობ ღამის ზიდვით ნატკენ მკლავებს, გზადაგზა კი ყველა ჭორს და ეჭვის მარცვლებს დამშეული ბელურები აკენკავენ...

მერე მთები. მთამ მინდობის ფასი იცის, ნისლს დამიფენს და ჟანგიან მუჯვე წყლამდე ისე ვივლი, ფეხი არსად არ დამიცდეს სიყვარულის სახიფათო ნამეწყრალზე...

შავი კლდე დგას სიზმარ-ცხადის გასაყარზე, კლდეში კარი — წარსულიდან გასასვლელი, ოღონდ, ახლა არ გამთვალოს, საიდუმლო არსად დასცდეს ქარს და ვიცი, უსათუოდ გადავრჩები —

კლდემ თუ გულის კარები არ შეიხორცა, დალიმ კიბედ თუ დაკიდა ნანწავი, მზის ჩასვლისას დევის დედა შემილოცავს და ყველაფრის დავინწყებას მასწავლის...

გზა

სიჩუმის მიღმა სულს ვუბერავ მტვერსა და ნაცარს, რაკი ყველაფერს სამყაროში თავისი დრო აქვს,

მტრედებსაც — ხედავ? —
ციდან ლურჯი ბარათის ნაცვლად,
რა უფერული, ჭორიკანა ამბები მოაქვთ...

თვალებს რომ ვხუჭავ, ზეცა უნდა წარმოვიდგინო, ეს ჩემი გზაა... დაილაღა დაღმართში წოლით, ეს ჩემი გზაა... უდაბნოში უნდა იდინოს, მარჯვნივ თუ მარცხნივ? — არცერთია ამათგან სწორი.

რომ არა ეს დღე და ფხიზელი ხსოვნაც რომ არა, დავასვენებდი გულს, რომელიც ლექსისთვის მოცდა, ბედის მწერალმა რა ბრძანება გაახმოვანა, რომელი უნდა ამეკრძალოს — წერა თუ ლოცვა?!

ეს ჩემი გზაა... რაც იარა, დრომ შეისრუტა, მაგრამ აქამდე... სიცოცხლეს რომ დამეგო ფარჩად, ფეხებს რომელი შეაწმენდი, ჩემში ვინც ბუჭტავ თუ ის მეორე — ტყუპისცალი — გარეთ რომ დარჩა?..

ეს სულერთია. ახლა მხოლოდ შენდობის დროა. მზედ იქცა ხორცი, ვარსკვლავების ჩახჩახა ასხმად, კაპილარებით სიხარულის მდინარე მომაქვს, გზადაგზა უნდა ყველა მწყურვალს პეშვებით ვასვა...

ეს ჩემი გზაა — ცხელ ქვიშაში მიცოცავს წვეთი, და ნაბიჯებით ვიდრე შენგან სიშორეს ითვლის, და დაჟინებულს, ვიდრე მზერას მაყოლებს ღმერთი, როგორმე უნდა ავიკრძალო წერაც და ფიქრიც!

*
რა მიმზიდველია სიტყვა „მუდამ“ —
მუდამ მეყვარები.
მუდამ ერთგულება.
მუდამ შენთან.
რა მიუწვდომელია სიტყვა „მუდამ“ —
მუდამ გიგრძნობ.
მუდამ ხსოვნა.
მუდამ ჩემში...
რა მატყუარაა სიტყვა „მუდამ“ —
მარადიულია მხოლოდ მისი შეუძლებლობა...

*
იხუმრა ღმერთმა, გაიარა გულის ფიცართან,
მის ნაკვალევზე ერთი სიტყვა ამოიზარდა.

*
როგორმე უნდა მოვახერხო,
ამ ზამთარსაც ისე დავუსხლტე,
რომ ღამეების ბასრმა ყინულმა
მოთმინება არ გამიკანროს...
და შემოდგომა,
დავინწყებაში ჩასაწურად
დამნიფებული —
ნაკანრებიდან
არ წამსკდეს
ლექსებად...

*
თვალებს რომ ვახელ, ოთახში თუ შენ არ ხარ ყველგან
(არ გასაყვედურობ, არც დაგეძებ), ეს უკვე ნიშნავს
უტკივილებო უდაბნოში დაკარგვის ელდას,
პირისპირ დგომას გულგრილობის შემზარავ შიშთან.

ასეთ დღეებში საკუთარ თავს ვიხდი ტანიდან,
შიშველი ვდგები მომაკვდავი ვნების წინაშე,
ყოფიერებას, ობის სუნი რომ აუვიდა,
ნაპირზე ვტოვებ და შევდივარ პოეზიაში.

თითქოს ბუდიდან ამომხტარი სველი ბარტყია,
ისე სხმარტალებს, ისე ლელავს და მეურჩება
სულელი გული... ვივინყებ ამ დროს,
სხეულზე რომ დამლად გატყვია
სხვისი თითების ნაკვალევი, სხვისი ტუჩები...

მზერას გარიდებ.
ეჭვის ნავს კი ქარი იალქნობს —
იქნებ არსად ხარ, ან თუკი ხარ, მაინც ვინა ხარ?!
ვცდილობ, როგორმე იმ ნიჟარის დუმლის მივარგო,
სადღაც, ფსკერში რომ მარხია და შენს ხმას ინახავს.

შორიდან დაე, ძველებურად, ვჩანდე სულელად,
აქ არის ჩემი პოეზია და იორდანე,
ლურჯი ტალღები უშენობის ცოდვას თუ ვერა,
ჭრილობებიდან ეჭვებს მაინც ამილოკავენ.

ბოლოს კი როცა ამოავსებს ტკივილი ნაპრალს,
და ნაცრისფერი გულგრილობაც სავალს მონახავს,
ტოტებჩამომხმარ სიცოცხლის ხეს, ფოთლების ნაცვლად,
უკვდავებისთვის ერთ ლექსს მაინც ხომ გამოვბაძამ...



ლელა მგელაძე

ღედას

წარმართების მაღალ ქურუმს ჰგავდი, ხელთ კვერთხით გეპყრა შობის კვერი. შორს მივლიდა ტკივილი და დარდი, როცა უტკბეს მელოდიად ჟღერდა: თან წაყვესო სატკივარი ამის მალლით ქარებს, წყლის დინებას დაღმით. და ღმერთივით ედებოდა ზეცას სამგზის თქმული ამ სიტყვების მადლი.

ღრომ წაიღო უზრუნველი ყოფა, უ-შენ-კვეროდ ფერი მისდის შობას.

როცა აქ იყავ, მხოლოდ ორი კაბა გეხდა: ლხინის — ფერადი, თალხი — ჭირისა. ახლა ღარიბი აღარა ხარ, რადგანაც გხურავს სეზონურად გარდამავალი და ფერთა გამით უმდიდრესი მინის საბანი.

გვალვამორეულ ბოსტანს და ბაღს სულზე მიუსწრო გლენხმა სარწყავით, მერე ჩამოჯდა და გაიღიმა... აღბათ ასეთი კმაყოფილი იყო უფალიც, ცისარტყელა რომ მიუძღვნა ნოეს.

როგორც დავრდომილ მოხუცს — ბავშვობა, ხმა — მობრძანდი ესიზმრება ცხოველების სათარეშოდ ქცეული ეზოს, მოდარაჯე ჩაჟანგულ ჭიშკარს.

პოეტი და რწმენა

თუკი მორწმუნე გგონია თავი, რად გინდა ლექსი — ამაოება ამაოთ შორის. ხომ კარგად იცი, ილუზიაა, წუთია, მხოლოდ ეს ცხოვრება, რომელიც ფიჩხზე მოდებული ცეცხლივით მალე ჩანაცრდება.

ყველაფერი წარმავალია. სამარადჟამო ის ადგილია, სადაც გადახვალ, საცა არ არს ურვა და ჭირი. ანდა გაივლი ორმოცდაორი ღმერთის ფერხითი ყველა გამოცდას და დაიმკვიდრებ ლელქაშის მინდვრებს.

ან თავს დააღწევ დაბადება-სიკვდილის ბრუნვას, ჭეშმარიტების ნაწილაკად გადაიქცევი (ან სხვა გზით ნახვალ. ყველა გზა, მაინც ერთ, საერთო სახლამე მიდის). მაგრამ არ არის შენი რწმენა ანკარა, სუფთა. სწორედ ამიტომ გადაეშვი იმ სამყაროში, რომლის გზებიც უფსკრულებით დაძარღვულია. სწორედ ამიტომ ელენები პოეზიის უხილავ კედლებს.

დიახ, ასეა, შემღვრეული რწმენაა ლექსი. შიშია ლექსი, დავინყვების, გაქრობის შიში. და სუნთქვა ეკერის მახსოვრობის ბნელ ფალიში მტვერით დაფარულს, ხოლო წაკითხვა მისი დიდი ამოსუნთქვაა...

შიშია ლექსი და შენც ვნებათა იმ ქარ-ცეცხლისაგან სიტყვებად რომ მეტამორფოზდნენ, ისეთი ლექსი გინდა ააგო, მკითხველის გულში ფესვებად რომ დაიქსაქსება, სუნთქვას გაგიცვლის და მინის ზემოთ მყარად დაგტოვებს.

ორივე ერთად ვერ იქნები, ან პოეტი ხარ — ტკივილის და ეჭვის ჭურჭელი, ანდა — მორწმუნე, სიმშვიდის ჩრდილს შეფარებული.

თხოვნა წინასწარ

თუ აუტანლად მომენატრება: ეზოს ძელსკამზე დასასვენებლად ჩამომჯდარი, უდიდესი მხატვარი — თოვლი; ან გაზაფხულზე, მწვანის ათასი გრადაციით სულის ხელახლა აღორძინება; ან, დიდებული კომპოზიცია, შენი შექმნილი და სათუთად შესრულებული ეზოს სტუმარი ფრინველის მიერ, ათწლეულებში ერთხელ მაინც ნიავის მცირე ამოსუნთქვად, ხომ გამოიმშვებ მინაზე, ღმერთო?

დავებობარება

მოდის, მე და შენ ჯერ ბავშვობა ვითამაშოთ. მე ნებიერა, ცელქი ვიქნები, ისევე, როგორც რეალობაში, ხუთიოდ წლამდე. შენც იყავი ნებიერა, თავნება, ურჩი და ჭირვეული. ჩემი სტუმარი მინდა იყო ეზოდყოფილში. ამ ბოძებზეც ვითომ — ვითომ ისეც დგას სახლი. ჩვენ დავრბივართ გლიცინიაჩახუტებულ მაგნოლიის ქვეშ, ჩემი ჯეკაც კუდში დაგვეყვება და სინაზე უდგას თვალეში. მერე თუ გინდა წავიჩხუბოთ სათამაშოსთვის. დედა მაინც შეგვარეგებს. მამაც აქვეა, სიზარმაცესმინებებული, ზოდს მიყრდნობია და ჩვენ გვიცქერს, ღმილიანი.

ახლა კი, კარგო, მე ვიქნები შენი სტუმარი. შენ ყველა სცენა გაითამაშე ბავშვობიდან: წარმატებებით მშობლებს როგორ აბედნიერებ. თუ გინდა მცირე ჩავარდნიც გააცოცხლე. უამისოდ ხომ ცხოვრებას მტკნარი გემო აქვს. მოდი, იმ წლებში მე ავდგები და სულაც გავქვები, დედის ნელ სიკვდილს რომ ვუყურებდი. შენ ითამაშე, როგორც იყო,

როგორ უყვარდი თამამი ყველას, როგორ შეგქონდა ყველგან სხივი სიხარულისა. მე იმ წელსაც გამოვტოვებ, მამის პალატას რომ მანვიეს. მან რომ ვერ მიცნო, რადგან სიკვდილის შეცნობისთვის ემზადებოდა. მომდევნო წლებსაც — ტკივილი რომ საიდუმლოდ გადავაქციე და ღრმად ჩავკეტე. შენ ითამაშე და დამატკბე შენი სილალით, რაც ასერიგად უხდება ყველას.

ახლა ჩამოვჯდეთ და ერთმანეთს ულაშაზეს წლებზე მოვუთხროთ, სიყვარულის წარმტაც ზღაპრებზე. მეც მოგიყვები, ოქროს წლების ბრწყინვალეობაში ჩაკეტილი საიდუმლო როგორ განქარდა. შენ მთამზე და გამახარე შენი მიღწევით კარიერაში. მე დაგიმალავ: რასაც ჩემში დიდ მომავალს წინასწარ ჭვრეტდნენ, ფუჭი აღმოჩნდა და იქვე ჩარჩა. და ახლა არარეალიზებულობას აქ, საიტზე, პოეტობანას თამაშით ვიხშობ.

აქ მოვრჩებოდი თამაშსა და მოგონებებს, მაგრამ ჩვენ უკვე დავმეგობრდით. მე შევალბება, როგორც მეგობარს, შენი სიმძიმის წილი ვიტვიტო. რადგან ისეა მოწყობილი წუთისოფელი, რომ უმზუერეს სიცოცხლესაც სიკვდილი ჩრდილავს, გამოიხარე: თავს როგორ ევლე ავადმყოფ მშობელს, როგორ იბრძოლე და დამარცხდი... და რა მწარეა მონატრება. მე გამოვტოვებ (აბა, ამას რა მომავოლებს), რომ ადამიანს,

ვინც მშობელზე მეტად მემშობლა, ვინც თავისი პირადული შორს მოისროლა ჩემი გულისთვის, ვერ მიუხვდის ინსულტის ნიშნებს. ხელის გულზე ერბო-კვერცხის შეწვის მაგივრად, მას სიცოცხლის რამდენიმე წელი წავართვი... და რა მძიმეა სინანული. ახლა სიზმრებში, უხეირო ლექსის მსგავსად, ვასწორებ წარსულს.

რალა დამრჩება შენთვის სათქმელი. ჩემს თავს სულაც გამოვტოვებდი, რომ არა ორი მკვეთრი სხივი, ჩემგან ნაშუქი, შვილების სახით.

შენ ყველაფერი მთამზე შენზე.





სამშაბათი დილას არც დედის გაუთავებელ „ააქეი, გაგვიანდება“-ს გავუღვიძებია და არც ფანჯარასთან მომდგარ მზის სხივებს დაუთვლიათ წამწამები. მეზობლების ხმაურმა და ვიშვიშმა გამაღვიძა.

— დედა! — გავძახე საბინიდან თავამოყოფილმა. დედას არ უპასუხია.

— დეეე! — ამჯერად უფრო ხმაძალია დაუფიქრებლად, თან სანოლოში წამოვფეკი. ისე უპასუხოდ დავრჩი. სასწრაფოდ წამოვხტი, მისაღებ ოთახში გავედი და ეზოში გადავიხდე. მეზობლები კამათობდნენ. სიტყვები ვერ გავარჩიე — სამაგიეროდ, დავინახე დედა, ორ მეზობელთან ერთად ლოთი ოთარის ბინიდან რომ ამოდოდა.

ერთი წლის წინათ ამ ბინაში სხვა ოჯახი ცხოვრობდა, რომელმაც მერე მეზობელ ქუჩაზე კორპუსის ბინა იყიდა. როგორც მეზობლები ამბობდნენ, სარდაფიდან გაფრენა მოინდომეს, მეთოთხმეტე სართულზე ავიდნენო. ამით ოღონდ სალაპარაკო მიეცა და რას არ იტყვიან. ჩვენს ეზოში ბინაც მალევე გაყიდეს. მართალია, ნახევრად-სარდაფი იყო, მაგრამ არც ისე ნესტიანი. ფართობიც დიდი იყო და კედლებიც — მყარი და თბილი. მაშინ გადმოსახლდა ჩვენს იტალიურ ეზოში ლოთი ოთარი. პოლიციის თანხლებით მოვიდა ეს მოხუცი. ბინა ძველი, მაგრამ ძალიან ძვირადღირებული ავეჯით გამოავსო. მეზობლებთან ნაკლებად კონტაქტობდა, თუმცა უფრო პირიქით, მეზობლები გამარჯობასაც ძლივს მიუგვებდნენ-ხოლმე. ერთ-ერთმა ჭორიკანა მეზობელმა მხოლოდ ის ამბავი შეიტყო, რომ ლოთი ოთარი, ერთ დროს მაღალი თანამდებობისა და დიდი სიმდიდრის პატრონი, ახლა ამ სახლის ამარა დარჩენილა თავისი შვილის გამო, რომელიც ნარკოტიკების მოხმარებასა და ხულიგნობის მუხლით სასჯელს იხდიდა.

ლოთი ოთარი თუ ფიზიკური იყო, სახლში შეიკეტებოდა-ხოლმე, ნასვამი კი დაეხეტებოდა ქუჩებში. ხანაც ისე გაიღებოდა, ეზოს ჭიკართან მწოლიარეც კი გვიჩინებდა. ამიტომაც დაარქვეს ლოთი ოთარი. ჩვენს ეზოში ფეხის შემოდგმის დღიდან, ზედსართავი სახელის გარეშე მისი სახელი არავის წარმოუთქვამს. ყველა ალმაცრად უყურებდა. ბავშვები მშობლების დარიგების გამო თავს არიდებდნენ. დედას კი არასოდეს უთქვამს მასზე ცუდი, ეცოდებოდა. ბევრი ჩვენც არაფერი ვგქონდა, მაგრამ კვირა ისე არ გაივლიდა, ერთი-ორჯერ მასთან ჩემთვის ცხელი წვნიანი არ გავტანებინა. თავიდან ოთახში შესვლის შემთხვევა, მაგრამ მერე შევეჩვიე. მიუხედავად იმისა, რომ ლოთობდა და გარეთ ხშირად ნაქცულს დასვრილი ტანსაცმელიც ეცვა, სახლი მუდამ სუფთა და დალაგებული ჰქონდა. ავეჯი უგემოვნოდ განელაგებინა, კედლებზე კი უამრავი საინტერესო ნახატი ეკიდა. ერთხელ მითხრა, ეს ჩემი სულის საზრდოა და ვიდრე ცოცხალი ვარ, ვერ შეველევიო. ნელ-ნელა მიშმა იკლო და აღმოვაჩინე, რომ უზომოდ თბილი თვალები ჰქონდა — ჭაობისფერი, ღრმა და ნათელი. სახეზე ნაოჭებს ვერც კი დაუთვლიდი, უამრავი შტრიხი დაეტოვებინა მის ყველა ემოციას.

დედამ ეზოდან შემინა, ფანჯარასთან რომ ვიდექი და კიბეზე ამოირბინა.

— თორნიკე, გაიღვიძე, დედი? — ჰო, დედა, რა მოხდა?

— ცუდი ამბავია, შვილო, — თვალზე მომდგარი ცრემლი ჩუხად მოინმინდა, — ლოთი ოთარი გარდაიცვალა. ღამით დალია სული ალბათ სანყალმა. ამ დილას უკვე ცივი იყო.

— როგორ გაიგეთ? — გამიკვირდა, რადგან მას არავინ აკითხავდა; არც გარეთ გამოუსვლელი იყო უცხო.

— სანყალი, ალბათ ცუდად იყო. არავინ შეგვანახა. ეზოში, მის კიბესთან ძალიან ყმუოდა. თვითონ კი კარი ღია ჰქონდა და ტოვებული და სანოლზე კოსტიუმში ღამაზად გამოწყობილი იწვა. გულზე ოქროსფერ ჩარჩოში ჩასმული ახალგაზრდა ქალის ფოტო ედო. მაგიდაზე რამდენიმე წერილიც დაგვხვდა. დახურული კონვერტები ძაფით ჰქონდა შეკრული და ზემოდან ფურცელი ეყო, სადაც ეწერა, დასაფლავების დღეს სასამართლო უწყების თანამშრომელს გადაეცითო. საცოდავმა ალბათ შვილს დაუნერა რამე. გამგებობაში დავრეკეთ. ეეეჰ... მოდი, შვილო, საუზმეს გავიმზადებ, ჩე მავალ ისევე. რამე უნდა ვიღონოთ მეზობლებმა. გამგებობის იმედად

ხომ არ უნდა დავტოვოთ მიცვალებული.

ცოტა ხანში დედა ისევ გარეთ გავიდა. საუზმეს მივუფეკი, მაგრამ ყელში ლუკმა არ გადამივიდა. ლოთი ოთარის ჭაობისფერი თვალები და დაკოჭრილი ხელები მედგა თვალწინ. კიბეზე ჩამოვდებოდა-ხოლმე, დამჭკნარ ხელზე ნიკაპს ჩამოაყრდნობდა და საათობით ფიქრობდა. ვინ იცის, რაზე... მეზობლებიდან თითქმის არავის უყვარდა. ახლაც მესმოდა ღია ფანჯრიდან მათი უკმაყოფილო ლაპარაკი — ნეტა ვისთან რა აქვს გავალებული, რომ ახლა მასზე ვიზრუნოთო. ესე იგი, სიკეთესაც ხურდა და ვალი ჩჭირდებოდა თურმე. არადა, დედა ისეთი რუდუნებით მეტყვობდა-ხოლმე, შვილო, საჭმელი ნაუღეო, თითქოს ვინმე ჩვილ ბავშვზე ზრუნავდა...

ტელეფონმა დარეკა. ვუპასუხე. ზაზა რეკავდა, თანაკლასელი — სკოლა რატომ გააცდინეო. მეზობელი გარდაიცვალა-

მარი თაბაგარი

ჭირისუფალი



მეთქი. რომელი? რომ გაიგო, გაიცინა, ბევრი არ იტიროო. მე კი ცრემლები ყელში მეზვიინებოდა. თუმცა რა მიკვირს, მე ხომ სხვებზე ახლოს ვიცნობდი ამ მოხუცს...

დედას პატარა სამკერვალო ჰქონდა სახლთან ახლოს. სულ ოთხიწი მუშაობდნენ. ერთხელ შარვალი და პერანგი მოიტანა სამკერვალოდან. მერე ღრმა თევზზე წვნიანი დაასხა და უხმოდ მანიშნა, ნაუღეო. ის პერიოდი იყო, სკოლაში ერთ-ერთი უსიამოვნო ფაქტის გამო, საყვედური რომ უთხრეს ჩემზე დედას და თითქმის არ მელაპარაკებოდა. მეც ზანტად წამოვდექი, ავიღე ტანსაცმელი და თეფში და ჩავედი ლოთი ოთართან. კარზე დაუკაკუნე. შემოდიო, გამომძახა. საუბრის თავი არ მქონდა. ვიფიქრე, რომ არ შევალ, გამოვა და თვითონ გამომართმევს-მეთქი. კარი კი მართლაც გააღო და შემოვიტინა, მაგრამ ისე მკაცრად მითხრა, შემოდიო, უნებურად დავემორჩილე.

მანდარინებით სასვე ჯამი დამიდო წინ. თვითონაც დაჯდა. რა ხდება სკოლაშიო. არაფერი-მეთქი. კარგა ხანს ვისხედით ჩუმად. მერე თავი არ აუწვია, ისე თქვა, იცოდე, დედას არასოდეს აწყენინო. ის ერთადერთია, ვისაც სიცოცხლეზე მეტად უყვარხარ და ეს სულ ასე იქნება, მასზე მეტად ვერავინ შეგიყვარებს. ამ სიყვარულისთვის კი ვალი გაქვს გადასახდელი, რომელიც ვერ გადაუხდი, მაგრამ მაინც უნდა შეცადო. ვალს კი შენი ნაბიჯებით აბრუნებ და დაუფიქრებლად არასოდეს გადადგაო. მეტი არაფერი უთქვამს. სიჩუმე მხოლოდ ჩემმა კნავილმა დაარღვია, ნავალ-მეთქი. ისევ არ შემოუხედავს, მხოლოდ თავი დამიქინა...

დედა სახლში ამოვიდა. ხელში რაღაც მომცრო ზომის რვეული ეჭირა. ბევრი არ გვისაუბრია. საჭმელიც არ გიჭამიაო, შენუხდა. მერე ერბო-კვერცხი შეწვა და მაგიდას მივუსხედით. ორივე ფიქრებმა ნავილი. დუმილი დედამ დაარღვია: „რა ხანმოკლეა ეს ნუთისოფელი და როგორ ადვილად იცნობა ჭირში მოკეთეც და მტერიც. თუ კარგად დააკვირდები, რა მარტივად გარჩენებს ადამიანი თავის სახეს და ააშკარავებს, სანდოა თუ გულბოროტი. როცა ვინმესთვის სხვისი ჭირი ღობეს ჩხირია, ის ვერასოდეს მიიტანს სათანადოდ გულთან ვერც ახლობლის ტკივილს.“ არ

ვიცი, კონკრეტულად ვის გულისხმობდა, მაგრამ ეზოში გამართული დიდი მსჯელობის შემდეგ რომ გააკეთა ეს დასკვნა, ცხადი იყო. არაფერს შეეკითხვივარ. ჩემს ოთახში შევედი და დავწვი. არც ის მახსოვს, როდის ჩამეძინა. მხოლოდ ღამით გამომეღვიძა და მისაღები ოთახიდან ჩემთან შემოსულმა სინათლემ შემეპკრო. გავედი, მისაღებ ოთახში დედა ტახტზე იჯდა, ხელში ცხვირსახოცი ეჭირა და დღეს შემოტანილ პატარა რვეულს ჩასცქეროდა. არ შევუმჩნევივარ. მეც უხმოდ შევბრუნდი უკან და აღარც დამძინებია. სისხამ დილით მომეშმა დედას ნაბიჯების ხმა. ცოტა ვადროვე და მერე მისაღებში გავედი. გამიხარდა, რვეული იქ დამხვდა. დაუკითხავად ავიღე და ოთახში შევიტანე. ღამაზი კალიგრაფიით ნახერი ლექსები და ჩანან-ერები იყო. ოთარ გვეგეტყვოდა — ენერა ყდაზე. ჯერ ლექსისკენ გამეცქია თვალი:

მტერი ვერაფერს დაგაკლებს იმდენს, როგორც მოყვასის შემცდარი გონი; როცა სასწორზე სინდისი გიდევეს, დაე, დაიწვას პინის მომგონი. ისე უბრალოდ გესვრიან ტალახს, თითქოს მსაჯულის ეცვათ მანტი. ყველა ზევიდან მიყურებს, რადგან დრომ ერთი ცოდვაც არ მაპატია.

რამდენიმე ფურცელი ერთად გადავშალე. ერთი ჩანანერი ასე იწყებოდა, „შვილო... ამიტომაც მიიტყია ჩემი ყურადღე-

ბა: „შვილო, არც ვიცი, ხარ თუ არა ღირსი, ასე მოგმართო, რადგან შენ მე შემარცხვინე. შენ, ჩემმა და ღიას შვილმა ჩვენს კეთილ გზას უარი უთხარი. ალბათ მალე ნავალ ჩემს ღიასთან, მაგრამ ვერ გავახარებ შენით. თვალბუც ვერ შევხედავ. ვერ გიპატრონე ისე, როგორც საჭირო იყო, როგორც მას სურდა. ბევრი უნდა მომეკლო შენთვის, უდელიდ დარჩენილი არ უნდა შემბრალეობდი და ყველა ახირებაზე კი დაგთანხმებოდი. პირადი ცხოვრებაც არ შემოგწირე, ღიას სანთლად და შენს კვლავ-ტრად ვიქეცი. ვერ გამიმართლე იმედები, არც შვილად ივარგე და არც ქმრად. მე? მე კარგი შვილი ვიყავი, ქმრობა არ დამცალდა, მაშად კი ვერ ვივარგე. სამსახურის გამო ყურადღება მოვაკელი. ის ძვირფასი დრო მოგაკელი, რა დროელიც კაცობა უნდა გესწავლა. რასაც დავინახავდი, სავალი გზიდან ყველა ღორღსა და ქვიშას გაცილიდი, რომ ფეხი არ წამოგეკრა. ბევრი ვერც დავინახე, მაგრამ აქ შევცდი. ფეხნამოკრული რომ წამოგაყენე და უკან არ მოგაბრუნე იმ ქვის ახლიდან და კარგად დასანახად. შენი კიბეზე ასვლა რომ მახარებდა, უკან გამობრუნებულს წინ უნდა გადადგომოდი და თვალბუც ჩაგვეხედა ერთმანეთისთვის. მეტი თავისუფალი დრო უნდა გამომენახა და შენს გვერდით ვყოფილიყავი. ესაა ის ყველაზე დიდი პრობლემა, რასაც მშობლები ვანუგებენ. შეცდომა, რომელიც ვუშვებდი და მერე მოუცლელიობაზე იმდენს ვწუნუნებო, თითქოს ვინმე შეგვიცვლიდეს და შეგვიმსუბუქებდეს ყოფით პრობლემებს. ვეძებთ კონკრეტულ დამნაშავეს, რომ ყველაფერი დავაბრალოთ და ვამხილოთ. მაშინ სამსახურსა და მისგან დაკისრებულ მოვალეობებს ვთვლიდი

უმთავრესად, პასუხისმგებლობის გრძნობა გამაჩნდა და იმიტომ. თუმცა ახლა ვფიქრობ, იმ მოვალეობებს საზოგადოება მაკისრებდა, შვილზე პასუხისმგებლობას კი უფალი გვაკისრებს. მასწავლამე, უმთავრესი ეს უნდა ყოფილიყო. მეც შემეშალა...“

ცრემლები მომდიოდა, გული თბებოდა და კიბეზე ჩამომჯდარი და ჩაფიქრებული ლოთი ოთარის სახე თვალბუცებიდან არ ამომდიოდა. თურმე რამხელა ტკივილს ატარებდა ტვირთად მარტოდმარტო.

ბოლო ჩანანერისკენ გამეცქია გონება. რიცხვს დავხედე, ორი დღის წინათ ჩაუნერია:

„ზოგჯერ როგორ ვკარგავ სახეს. ეს მე არ ვარ. გუშინ ბევრის დაღვევა მომივიდა. აქვე ახლოს მეზობელი თათულის სამკერვალოა. იქ კიბეებთან ნავცქეულებარ. რა სათუთი ქალია. სამკერვალოში შემეყვანა და როგორც მამას, ისე მომიძრა. ყველა თავს დამტრიალებდა. ბოლოს როდის ან ვინ იზრუნა ასე ჩემზე, აღარც კი მახსოვს. ცოტა რომ გამოვფხიზლდი, სახლში მერე გამომიშვა. შვილი ჰყავს ისეთი, მართლა რომ ვინატრებდი მის ბაბუობას. ის არასოდეს ასცდებდა გზას, რადგან თათულისნაირი დედა იშვიათია. თორნიკეს რომ ეზოში ვხედავ, გული მინათდება. იმედი მეძლევა იმის, რომ ჩემს ქვეყანას კარგი თაობა ეზრდება. თუ მშობელი სათანადო ყურადღებას არ მოაკლავს და სწორად აღზრდაზე იფიქრებს, შედეგიც სასურველი დგება. შვილზე ზრუნვა მე სამშობლოზე ზრუნვა მგონია. განათლებული და სწორად აღზრდილი ახალგაზრდა ძალაა ქვეყნისთვის. მე ვერ გავზარდე ღირსეული, მაგრამ ამ შეცდომას გამოვასწორებ სიკვდილის შემდეგ...“

დავიზაფრე. როგორ ვეყვარებივარ ამ მოხუცს. გული შემეკუმშა. ბალიშზე სახით დავემხე, რომ ჩემი ღრიალის ხმა ჩამეხშო. სანყალი მოხუცი, ის ხომ საუბარსაც მონატრებული იყო. რამდენჯერ მითხრა, თავისუფალ დროს მესტუმრე, შენს საყვარელ წიგნებზე, მწერლებზე და სკოლის ამბებზე ვისაუბროთო. თუ რამეს მეკითხებოდა, მოკლედ ვპასუხობდი. ამ ერთი თვის წინ ცოტა დიდხანს გავჩერდი მასთან. სად გინდა, სწავლა გააგრძელო? ჯერ არ ვიცი, თუმცა მარკეტინგიც მიზიდავს და ტურიზმიც-მეთქი. კარგად დაფიქრდი, ვიდრე პროფესიას აირჩევ, რადგან შენი საქმე თან ძალიან უნდა გიყვარდეს და თან ოჯახი გირჩინოსო. თუ მარკეტინგს ავირჩევ, საზღვარგარეთ მინდა მერე სწავლის გაგრძელება, მაგრამ დედას ამხელა შემოსავალი არ აქვს თავის სამკერვალოდან და ალბათ ვერ შევძლებ-მეთქი. გაეღიმა. აღარაფერი უთქვამს. სახლიდან გამოსვლისას, კარებამდე რომ მომაცილა, მითხრა, შენ ძალიან მოინდომე და გამოუვალა სიტუაცია ან არასებობს, რაღაც მოიძებნებაო.

ასე თავჩარგულს ფიქრებთან ერთად წამთვლიმა და თავზეც დამათენდა. დილით დედამ კარი შემოაღო.

— უკვე ჩაიცივი თუ ტანსაცმლით გეძინა? თავი დავაჩუქე და გავჩუმდი. დედა მომიახლოვდა, გულში ჩამიკრა და თავზე მაკოცა. მერე თვალებში ჩამხედა:

— არ იდარდო. ყველა გავემგზავრებით თავის დროზე იმიერში. ლოთი ოთარისთვის შევბაა ახლა იმ ქვეყნად გადასვლა. ნაადრევი მამაშენის წასვლა იყო. ამ ბერიკაცმა ბევრ რამეზე ავგვიხილა თვალი. დაგვაფიქრა, რომ ერთმანეთს გავუფრთხილდეთ. აი, შენც ნავიკითხავს მისი ნახერები. ოდესმე წარმოიდგენდი, რომ იმ მუდამ ალკოჰოლით გაბრუნებულ, ზოგჯერ ქუჩაში მწოლიარე მოხუცს ასეთი სუფთა გული და გრძობები ჰქონდა?! ადამიანები კარგად უნდა გავიცნოთ, ვიდრე შევფასებთ, ვიდრე მათზე ერთ სიტყვას მაინც ვიტყვიო... — დედა გაჩუმდა. ცრემლი მოინმინდა, — დღესაც ნუ გაცადენ სკოლას. მისი ნათესავები ჩვენ არ ვიცი. შვილს თავის დროზე უარი უთქვამს მასთან კონტაქტზე. ერთი წლის წინ რომ აქ გადმოვიდა, სწორედ მაშინ გაუყიდათ და გაუყვიათ ბოლო ბინა. ეს ბოლო უძრავი ქონება იყო ლოთი ოთარის დიდი ქონებიდანო, ასე მოიტანეს ამბავი. მერე შვილი დააკავეს და დააპატიმრეს. ახლა ციხის ადმინისტრაციისთვის მამასთან გამოსამშვიდობებლად მოსვლაზეც უარი უთქვამს. ამიტომ გამგებობიდან მოვლენ ხვალ დასაფლავებაზე, დანარჩენ ფორმალობებს კი მეზობლები მოვავარებთ.



პოეზიაში ყოველი მიღწევა ინდივიდუალურია. ინდივიდი ქმნის პოეზიას, მაგრამ სად ქმნის, ცარიელ სივრცეში ხომ არ ქმნის? არა, რა თქმა უნდა. შემოქმედებითი პროცესი განსაზღვრულ კულტურულ რეგიონში ხორციელდება.

ხელთ მატებს პაკო სვიმონიშვილის გერმანიაში (ლუდვიგსბურგი) გამოცემული ლექსების წიგნი. წიგნი ორენოვანია — ქართულ-გერმანული. პაკოს ლექსები თარგმნა თომას ჰოიზერმანმა. მანვე დაურთო კრებულს კომენტარები. ყდაზე პაკოს ფოტოა და გერმანულად აწერია — „ამირან სვიმონიშვილი“, ასევე გერმანულ ენაზე — „პოეზია“ და შემდეგ ქართულად — „გაკრული ხელით — „პაკო“. შავ-თეთრი ფოტო, მუქი შინდისფერი ყდა და ზედ თეთრი წარწერა დიდ სისადავეს და უბრალოებას ამჟღავნებს. ფოტოზე თბილისის ძველი უბნის რომელიღაც ჩიხია, ვინრო, რკინის-მოაჯირებიანი კიბე, კიბეზე პაკო დგას კორპუსით ფოტოკამერისკენ მობრუნებული და ხელგამონვდილი რაღაცას წარმოთქვამს. ვგრძნობ, რომ მხატვრის ინტუიცია ზედმიწევნით ზუსტი გამოდგა. ამკარად შეიკრა წრე. ვიზუალი და პოეტური განწყობა მიესადაგა ერთმანეთს. ექსტერიერი ინტერიერის განუყოფელ ნაწილად იქცა. თითქოს ორენოვანობა შეერწყა მთლიან ვიზუალს.

დასაწყისში კულტურულ რეგიონზე ვსაუბრობდი. პაკო გერმანულ ენას ფლობდა და გერმანულ პოეზიას თარგმნიდა. ბუნებრივია, პოეტი რასაც თარგმნის, იმის მიმართ გულგრილი ვერ იქნება. ახლა თვითონ მისი ლექსები ითარგმნა გერმანულად და თითქოს ტექსტებს შორის რაღაც საიდუმლო კავშირი გამჟღავნდა. აქაც თავისებური შეხების წერტილები გამოამკარავა. ინტუიტიურად გრძნობ, რომ პაკოს პოეზია, ეს მთლიანი სუბსტრაქტი, მხოლოდ ქართული რეალიებისაგან არ შედგება. არის რაღაც უცხოური; იქნებ გერმანული? დიახ, გერმანული, ექსპრესიონისტული — თხრობის განფენა, პეიზაჟებში და ნატურმორტებში ფერების სიმკვეთრე, საგნების, ემპირიული სამყაროს დეფორმაცია. ამ ლექსებს ადრე დანერგულ წერილში კოლაჟები და ვიტრაჟები ვუნოდე. მართლაც ასეა, აქ მსგავსი ტექნიკა შეინიშნება. სახეების, მეტაფორების ტეხილებში სინათლე გამოსჭვივის, ზოგჯერ მკვეთრი სინათლე.

ყოველი პოეტური თარგმანი ორი ენის, ორი აუხსნელი სტიქიის შეხვედრაა. ერთი „ყოფიერების სახლი“ ხვდება მეორე „ყოფიერების სახლს“. ყოველ „ყოფიერების სახლში“ უამრავი რამ არის თავმოყრილი, სულ სხვადასხვანაირი კულტურული დანალექია და დანაშრევი. პოეტურ ენაში პოლ ვალერი ორ მცირე ერთეულს გამოყოფს — ბგერას და აზრს, მაგრამ ამათ გარდა და ამათ შიგნით თუ გარეთ კიდევ მრავალი რამ არსებობს. არიან სკეპტიკოსები, რომლებიც უარყოფენ პოეზიის თარგმნის შესაძლებლობას. იქნებ ეს რამდენადმე მართალიცაა, მაგრამ ადამიანს ხომ შეუძლია შეისწავლოს სხვა ენა და შევიდეს იმ სხვა ენის სამყაროში. ეს იმას ნიშნავს, რომ პოეზიის თარგმნის პროცესში პიროვნებაში ორი ენა, ორი სტიქია უნდა შეხვდეს ერთმანეთს. რაკი ერთ პიროვნებაშია მოქცეული ორი ენობრივი სამყარო, ეს სამყაროები თავისებური წესით თანაარსებობენ. მათი შეხების წერტილი ეს ერთი პიროვნებაა და მის შიგნით მიმდინარე პროცესები. ორი ენის მფლობელს შეუძლია ორ ენაზე გადმოსცეს პოეტური განწყობა. ამისდაკვალად მას ხელეწიფება ერთი ლექსის განწყობა ლექსად მეორე ენაზე „გადააწყობს“. აზრი უფრო იოლი გადმოსაცემია, განწყობა — უფრო რთული. განწყობა აზრსაც შეიცავს და ლექსის შემადგენელ სხვა რეალიებსაც.

თომას ჰოიზერმანი შესანიშნავად ფლობს ქართულ ენას, ამიტომ მან კარგად, საინტერესოდ თარგმნა პაკოს ლექსები. მის ცნობიერებაში უკვე თანაარსებობდა ორი ენა და თარგმნის პროცესში მოხდა ამ ენების „შეხვედრა“. ასეთი „შეხვედრის“ დროს ენათა შორის პიროვნებისეული ნიშნით აღბეჭდილი ალქიმიური განზავების პროცესი მიმდინარეობს. თითქოს ამ ენებით აღძრული განწყობები სადღაც გადაკვეთენ ერთმანეთს: ამიტომაც არის პოეზიის თარგმნა ხელოვნება და არა ხე-

ლოსნობა. თომას ჰოიზერმანმა თავისებურად წაიკითხა პაკო სვიმონიშვილის პოეზია და ისეთი პლასტები ამოიხიდა მისი სიღრმიდან, რაც სხვათა თვალისთვის შეუმჩნეველი იქნებოდა. ამ „ამოზიდვის“ ანუ გაგების საფუძველზე შექმნა მან ხსენებული თარგმანი. ერთ-ერთ ინტერვიუში პაკო ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ პოეზიაზე ანალიტიკური საუბარი მეტწილად ფიქციაა, რადგან ძნელია თეორიული განსჯით გადმოსცე პოეზიის სიღრმისეული არსი. ასეთ დროს, მისი აზრით, შეიძლება მოიშველიო ჰაიდეგერისა და გადამერის პერმენევტიკა.

პაკო თვითონაც თარგმნიდა პოეზიას და ეს ალქიმიური პროცესი მის ცნობიერებაშიც მიმდინარეობდა. მის მიერ თარგმნილი რილკეს ცნობილი ლექსი „შემოდგომა“ ასე ჟღერს:

ანდრო ბუაჩიძე

საუბარი პაკო სვიმონიშვილის ორენოვან ნიშნზე

ყოველი ეცემა, აღმართული ეცემა მკლავი, ნახე, ამქვეყნად ყოველივემ დაცემა იცის, და მაინც, არის ერთადერთი, ვისთვის დაცემა დაცემაა და უსასრულო სინაზით იცდის.

ასე რომ, ურთიერთგადაკვეთა პოეზიაში თავისებურად აღიბეჭდება. ამერიკელი რომანტიკოსის ედგარ პოს „ყორანი“ ფრანგმა შარლ ბოლდერმა თარგმნა და ეს თარგმანი იქცა პოეზიაში სიმბოლიზმის ერთ-ერთ პირველსათავედ. ეს ფაქტი პოეზიის თარგმნას და, ზოგადად, თარგმანის ხელოვნებას თავისებურ აზრს სძენს. აქ არა მხოლოდ კონკრეტული ტექსტის ერთი ენიდან მეორე ენაზე ერთჯერად გადატანასთან გვაქვს საქმე, არამედ ინდუქციური პროცესის წარმოშობასთან, რომელიც საბოლოოდ ახალ ლიტერატურულ მიმდინარეობად, ახალ კულტურულ პარადიგმად იქცევა. აკი, როგორც ვთქვით, ფრანგულად აქვთარებული ედგარ პოს „ყორანი“ ეუროპაში სიმბოლიზმის ნინაპირობად იქცა.


პაკო თარგმნიდა გერმანულ ლირიკას — რილკეს, თრაქლის და სხვათა პოეზიას და ეს მისთვის მნიშვნელოვანი იყო, რადგან ის ითვისებდა ქართული პოეტური ტრადიციისაგან განსხვავებულ სტრუქტურას, რომელიც საბოლოოდ ზოგადი განწყობის გამომხატველად იქცა. მოგვიანებით თვითონ პაკოს ლექსები ითარგმნა გერმანულად და ეს ორმხრივი მიმოქცევის პროცესი არ შეიძლება და საინტერესო არ ყოფილიყო.

პაკოს ლექსებში სიტყვათა მიმოხრა მართლაც კოლაჟურ და ვიტრაჟურ ნაშრომს ქმნის. აქ უამრავი ნამსხვრევია, თითქოს საგნობრივი სამყარო ნამსხვრევებად იქცას, მაგრამ ამ ნამსხვრევებს შორის გამომკრთალი სინათლე ნათელს ჰფენს მთელ კოლაჟს და რეალობასთან, თუნდაც წარმოსახვით რეალობასთან აკავშირებს. ვთქვათ, ლექსში „სპარსული მინიატურა“ ასეთი მეტაფორაა: „და ფეხმორთხმული ღამე უდაბნოს ყვავილებით... ანდა ვთქვათ, ლექსი „ისპაჰანი“: „მკლავზე ჩადრებით დაცურდება საღამო თალხი/ და ჩათავდება დიდი ბაზრის აყალ-მაყალი“. ასე მთავრდება ისპაჰანის დიდი ბაზრობა. ზუსტი მეტაფორული შტრიხი წარმოაჩენს კატას : „და მწვანე თვალი გაიბრწყინა/ ბლიკზე დაყრილ თაქოს ნაფშევნში“.

პაკო ხშირად ფერმწერის გულმოდგინებით ხატავს პეიზაჟს და მთელი სტროფი განათებულია, მხოლოდ აქ მეტაფორები ერთმანეთს არის მიბჯნული: კალოზე უფალს შეუკრავს ძნები, მწუხრს უკანასკნელ სამიძარს ეტყვი და ცხელი სუნთქვით გრძნობენ ტაძრები, საით მიცურავს ვარსკვლავთა ეტლი.

ერთ ინტერვიუში პაკო ამბობს: „რა ექნა, მიყვარს კლასიკა“. კლასიკა აქ მრავ-

ლისმთქმელი ცნებაა, ის ლექსის ფორმალურ მხარესაც ითვალისწინებს და შინაარსობრივსაც. შინაარსობრივი არეალი ძალზე ფართო სივრცეს შემოიწირს, თუნდაც გეოგრაფიულად ფართოდ გაშლილ კულტურულ და რელიგიურ წრეს. აქ არის ბიბლიური და ბერძნული მითოლოგია, რომელიც რეალობად აღიქმება, რადგან პერსონაჟები რეალურ ადამიანებად გვეცხადებიან. შთამბეჭდავია ასეთი სახეები: „ზრახვას გარეგანს უნაზესი უარყოფს ხვედრით/ სიძე, შარაზე აჩენილი თეთრი სახედრით“, ან კიდევ: „შენა ხარ დილა, ადამის ვაჟი, / ჯვარცმული ხელი მზედ რომ მოისხამს“, კიდევ: „და მიხარია, მარიამი რომ შემოგვანატრის, ტყის თავიგული, მამის ხელით შემოკონილი“, კიდევ: „არ მეშინია ეშმის ეშვზე მომდგარი ცოცხის, / როს ხელისგულზე დაჭედოლო,



გიგრძნობ, სამსჭვალო“, კიდევ: „ქრისტეს გზასავით ძნელი არის შენი სურვილი“, ან კიდევ: „ღია თვლებში ნიაკვივით ცხრება გამები, / ქრისტეს ბავშვობა, მოგონება და პასტორალი“.

შეიძლება გავავსებდეს ნიკო სამადაშვილის ფრაზას: „ქრისტემ ბავშვობა აქ გაატარა და ღვთისმშობელი უფვიდა ეზოს“. კიდევ: „მწვერვალისკენ დაიძვრება მწყემსი კეთილი/ და ღრუბლის ფთილას გაუფენენ უამინდონი“. კიდევ: „შუქით მოუხმობს იოანე ნათლისმცემელი/ ის, ვინც მზის სულთან შეარიაგა წყალთა უკუნი.“

ეს, უმთავრესად, ბიბლიური მითოლოგიაა და ამავე თემატურ რეალში შეიძლება ბერძნულმა მითოლოგიამაც გაიფიქროს. მაგრამ ამ თემატურ რეალს კვეთს აღმოსავლური თემატური რეალი (გავიხსენოთ ლექსი „ისპაჰანი“, ან „სპარსული მინიატურა“, ან ასეთი სტრიქონები: „ინდოთა ფირუზს მოსტაცებს ივლისს“, ან „დაიხვევს ფაფარს ცხელი არაბის“ და სხვა).

რომელიმე თემატური ნიშანი ცალკეულ ლექსებში ლაიტმოტივად არის წარმოდგენილი, მეტწილად კი შერეულია და შერწყმული მთლიან პოეტურ სუბსტრანციაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კულტურულ რეგიონად ხსენება, ლექსებში მათი მონაცვლეობა თუ თანაარსებობა პაკო სვიმონიშვილის პოეტიკის მთავარი ნიშანია. რა თქმა უნდა, ყოვლისმომცველი თემატური ნიშანი საქართველოს ყოფა და მისი სიძველენია, მაგრამ ყოველივე ეს უხილავად, უაქცენებლად ერწყმის სხვა თემატურ მოტივებს და მათთან ერთად განუყოფელ მთლიანობად წარმოდგება.

პაკო სვიმონიშვილის პოეზია საკრალურ სინამდევთა პოეზიაა, ოღონდ ეს სინამდევები დღევანდელი, თანამედროვე კაცის თვალში არის დანახული. დღევანდელი გლობალური ნიჰილიზმისა და ტრაგიკული ღვთისმადიებლობის (ასე იყო XX საუკუნის დასაწყისიდანვე) ხანაში „ძველი სამყაროს ნაწილები“ უფრო მეტ დრამატიზმს და სიკაჰკაჰეს იძენენ. საქართველო ხომ ძველი ქრისტიანული კულტურის რელიკვიაა და სწორედ ამ

რელიკვიას მიეღვრის პოეტიკა. მას თითქოს სურს, თვალი შეავლოს და ხელი შეახოს ყველა ნივთსა და საგანს, რომელიც იმ სამყაროსეულია. ხელის ყოველი შეხება დრამატიზმით აღბეჭდილი მომენტია, საკუთარ სულიერ სამყაროში წარსულის გაღვიძებაა. როგორც ერთმა სიცოცხლის ფილოსოფოსმა თქვა, ყოველი ინდივიდი ერთგვარი მიკროკოსმოსია, რომელშიც უკუფენილია ისტორია, ისტორიული პროცესი. ყოველ ისტორიულ პროცესში, ყოველ ადამიანში არის ისტორიის გარკვეული ნაწილი და ეს ანიჭებს მას შესაძლებლობას ჩანვდეს წარსულს. პაკოს ძლიერი გმირიც ის ადამიანია, ვინც საკუთარ თავში შემონახულ წარსულს აღვიძებს და აღბეჭდავს კიდევ.

განყვეტილ დროთა კავშირის აღდგენა 20-იანი წლების პოეტებს ჰქონდათ მიზნად: გიორგი ლეონიძეს და ტიციაან ტაბიძეს. მოგვიანებით ამგვარი სწრაფვა აღიბეჭდა ნიკო სამადაშვილის ლექსებში.

პაკო სვიმონიშვილის პოეზიაში ქვეყნის წარსული დღევანდელი გადასახედიდან არის განჭვრეტილი. აქ ვგულისხმობ იმას, რომ ეს შინაარსობრივი მოდული იმ ფორმით არის გადმოცემული, რომელშიც XX საუკუნის თავისებური ლირიკული გამოცდილება იჩენს თავს.

დასაწყისში ხატვის ექსპრესიულ მანერასთან არსებულ შეხების წერტილებს ვახსენებდი. შეიძლება რამდენადმე ასეც არის, შეიძლება არა, მაგრამ იმას ვერავინ უარყოფს, რომ მოდერნიზტულ ლირიკასთან ზიარებამ პაკოს ხელწერას თავისი კვალი დაატყო. ეს შეიძლება პარადოქსია, თუმცა მეტად საინტერესო პარადოქსია, ვინაიდან ძველი საქართველოს სახეს პოეტი თანამედროვე ხეობებით აღადგენს. ამას რომ ვამბობთ, ფორმას და შინაარსს ვმიჯნავთ ერთმანეთისგან, რაც არასწორია, რადგან თანამედროვე ლირიკის მკვლევარი პუგო ფრედრიხი წერს: „პოეტიკა თავის საბოლოო საფუძველში ონტოლოგიაა“. ეს იმას ნიშნავს, რომ ფორმაში შინაარსი ამოიკითხება.

სამშობლოს, სიცოცხლეს, ცხოველმყოფელ საკრალურ საწყისს, „ყოფიერების სახლს“, ენას, მიწას, სადაც ნახნავს „მზენასუნთქი“, „გაშლილი ნისლი“ სლიოდა, მოწყდება „ლირიკული გმირი“ და მაშინვე სინანული იპყრობს, მერე კი უბრუნდება ყოველივეს და ივსება იმ მადლით, რომლის ნიაღშიც სიცოცხლე აზრს იძენს:

მომყვება კვამლის და გამშრალი სიმინდის სუნი, მინა მიმზადებს ოქროს ლოგინს, კალთაგრძნული, დაგიბრუნდება, არ ვარ შენი ავისმოსურნი და ზღაპარივით გასრულდება ათასწლეული.

ეს ღვთისმადიებელი ადამიანია, შეიძლება უძლები შვილიცაა. მან ქვეყნიერების ზურგზე იხეტილა, მერე კი დაბრუნდა შინ და იგრძნო საკუთარი კერის სიბო და კვამლის სუნი.

პაკო სვიმონიშვილის პოეზიის ქართულ-გერმანული გამოცემა, ჩემი აზრით, კიდევ უფრო გვაახლოვებს მის სამყაროსთან. მეც ხელახლა ვკითხულობ და ვიზრებ ამ პოეზიას. ინდივიდუალობის ნიშნით აღბეჭდილი ყოველი პოეზია სივრცეში შეჭრილი ახალი ნათებაა. ყოველი პოეზია ცდაა ახალი რეალობის შექმნისა. ზოგადად, XX საუკუნის და მისი მეორე ნახევრის ლირიკის მკვლევარები საუბრობენ ინტელექტის პრიმატზე პოეზიაში, ზოგჯერ ინსპირაციასაც გამორიცხავენ. ძნელი სათქმელია, რას უნდა ნიშნავდეს ეს. ლირიკა სულიერების უაღრესად ფაქიზი და სუფთა სფეროა, ინსპირაციის, ფეთქებადობის, სპონტანური ამოფრქვევის თუ ემოციური გაშლის გარეშე მისი წარმოდგენა პირადად ჩემთვის შეუძლებელია. ამავე დროს ისიც გასათვალისწინებელია, რომ ინტელექტის პრიმატი თანამედროვე ლექსში მის აზრისმიერობას სულაც არ აღნიშნავს. აზრისმიერი ლექსი კლასიციზმის პერიოდში იყო.



ნათია
გიორგაძე

პატარა ბავშვებს კიბეებზე ხელი ჩაკიდეთ,
რადგან ბავშვების კუპრში ჩაცვებით
იღუპებიან მხოლოდ დიდები,
მათი ტირილი გამოიყვანს მეფეს
და ბატონს და მბრძანებელს წყობილებიდან,
და დაკარგავენ წყალ-ადგილებს,
და გაიგებენ, რომ უფალმა
გახსნა სამოთხე,
თოვლის კაცივით.
როგორც მინისძვრა, დამანგრეველი,
გარყევთ ტალღები, რომ რწმენამ იკლოს,
ან შეამოკლოთ მასშტაბები და შეეყვარებულს
შეაყვაროთ მთელი მსოფლიო.
ხელი ჩაკიდეთ კიბეებზე პატარა ბავშვებს...

უკან ვერ დაბრუნდა,
თითქოს გზა განყალდა,
წყალმა კი წაიღო
ხსოვნა ...
და როგორც ქვის ხანა,
ხის ტოტის კარვებით,
ცხენებზე, დათვებზე, ირმებზე
მონადირეებს მალავს.
სხვა ტომებს ჰყავთ
ზღაპრის გმირები,
სხვა ტომებს
ჰყავთ ღმერთის შვილები,
სხვა ტომებს ჰყავთ
განდეგილები,
სხვა სახით მოსული
ომი.
ქვისმკოდველს,
ლოდების წინაშე
აქვს დარდი,
ცხრაგ ზობა გავლილი,
მის ხელეებს, მის თვალებს, მის ღამეს
ეტყობა,
რომ ვედარ იშვილებს ვერავის.

რაც წყალში იხსნება,
სხვაგვარად მკვდარია,
რაც წყალში დამძიმდა,
იმასთან...

შენ შეგიძლია მშვიდად იცხოვრო,
შენ შეგიძლია სტუმრად წახვიდე,
შენ შეგიძლია იმზიარულო,
შენ შეგიძლია იმარხულო,
შენ შეგიძლია შეისხა ფრთები...

მაგრამ შენ არ ხარ წვიმის ხმაური,
რომ ცისარტყელა გააჩინო მზის
შემხედვარემ. ვამბობ,
არავინ კვდება შემთხვევით!
მე
ამოვედი
ცაზე,
როგორც კარლია მთვარე,
და გესალმები ციდან,
ვეცდები, ქვეყნად ვინც არ შემლილა
სიყვარულით, ხმა გამაგონოს იმან...

თვალი ვადევნო
საფრთხის ქვეშ მყოფებს,
როგორც ჩამოშლილ
თვალის ბადურას,
როგორც დალაქს და
მის სამართებელს,
ის ოთხი მოკვდა
და გადარჩა
ცამდის მართალი,
ვცდილობ, გავერკვე
იმ ამბებში, იმ მოკლულებში,
რომ ბუს ნაშიერს,
ლამით უშიშარს,
მივცე სამშობლო —
თავისტიკივილი.
— დამიტირე, დედაჩემის
ტოლა ქალო,
უფრო მეტად, ვიდრე
ხევში წყალი მიდის,
უფრო ხშირად, უფრო სანდოდ,
ვიდრე მე ვარ
დასატირი.

თუ გადარჩენა არ გინერია,
დრო — გრაფიკული ნაშანი ბგერის —
მოგდევს სიცოცხლის ნიშანწყალივით
და თბომავალი, გზის ვეშაპი,
სამინელ ომში, დაიბადება.
თუ გადარჩენა არ გინერია,
რაც ჰგავს ძალიან მსოფლიოს რუკას,
კედელზე გაკრულ მსოფლიოს რუკას,
როცა კედელი ციხისაა და შეუვალი.
თუ გადარჩენა არ გინერია,
ერთ მშვენიერ დღეს, ან შიმშილისგან,
ან წყურვილისგან, ან სიბრძავისგან
დაიღუპები... და ნახვალ, როგორც უმეცარი,
სხვა ქვეყანაში, სადაც გეტყვიან,
რომ რუსთაველს, ერთადერთ მამას
არ ეცი პატივი... და რომ
ნაშაღე მისი ხატი
და რომ ნაშაღე მის თვალებში
უპირატესი, ვიდრე ნათელი.
მერე კი, როცა ის ღმერთი გახდა...
შენ შეგეშინდა... მკვდრის შიშით
და მკვდრეთით აღდგომის შიშით!

როგორც კი რამეს ვიპოვი,
შენ გაჩუქებ,
ვიცი გაიხარებ,
ეს იქნებ იყოს
თევზი ან ფასკუნჯი,
რომ შენს ჭრილობას —
სამკერდე ნიშანს,
პირი შეეუკრა,
ეს იქნებ იყოს
შენი ძველი, გამორჩეული
ფოტოსურათი,
გაჩვენო, გული გამოგიკეთდეს,
ეს იქნებ იყოს მამაჩემის
ბოლო წერილი, ნაგიკითხო
და გულზე მოგემვას,
რომ იგი შეხვდა სიკვდილს
მამინ, როცა თვალზე ხელს აფარებდი
და რომ ვერ გითხრა, რაც უნდა ეთქვა,
რადგან ეგონა, მერე გეტყოდა.
მე ვფიქრობ, როცა მე ვერ ვფიქრობ,
როცა ვტყუვდები, ან თავს ვიტყუებ,
სახე მეცვლება...
სახე — მინა,
სახე — წყალი,
სახე — ჰაერი,
ცეცხლმა გადანვა
ყველაფერი და ჩაქრა,
ახლა კერა ჰქვია
სულ სხვა რაღაცას,
შენი ცრემლები რომ ინახავენ.



ჩუმად ორმოებს
თხრიდნენ ბავშვები
და ნამცეც-ნამცეც
და ფთილა-ფთილა
ავსებდნენ თხრილებს
ბავშვურ ფიქრებით...
და ხელისგულებს,
სველსა და თბილებს,
ენებებოდა ნოტიო მინა,
ხან აშენებდნენ მინის გვირაბებს,
ციხე-სიმაგრეს და თუნდაც „პასკას“,
და იზრდებოდა მათი ოცნება,
ემსგავსებოდა ხელოვნურ კასკადს.

ის, ვინც ცხოვრებიდან გამოვიდა,
ის, ვინც გადაადგა ცხრა ნაბიჯი,
ყველა დასასრულის დასაწყისი
და უსასრულობის სრული მიჯნა.
გათვალა ცხრა კატა და ცხრა ყვავი,
ცხრა მთა და ცხრა მზე და ცხრა ტყავი
გადაიძრო და ამ ცხოვრებიდან გამოვიდა
ისე წმინდა, ისე მკრთალი და დამზრალი,
სხეული მიაფიცხა მზეს ცხრათვალას...
და ჩუმი მონატრების ქონდა შიში,
ჩუმად უტიფარი ყველა გრძნობა,
ასე უშუალო და დამფრთხალი,
ადგა და... ცხოვრება მიატოვა.

მე მივუხურე კარი
ყველა ტლუსა და ფარჩაკს,
გავიმზეგანე, გავე... გავემიჯნე
და არ ჩანს...
ზურგს უკან დანვა ჩრდილი,
ჩრდილი შავი და ავი...
ფარჩაბრდღვიალა ფარდებს
მზემ გაუხუნა კალთა,
მზემ, შემოდი, შემო...
შემთანათე შენი
სხივები ალთა-ბალთა...





ქურდაძე

ვარ ჯარისკაცი ომში,
ვარ ამა ქვეყნის მონა
და ჩემს ვალს ვიხდი, ვზივარ,
გარდაცვლილ ცხედრებს ვნომრავ.
შემოდი, შემო... მზეო,
დანვი ეს ფარჩის ფარდა
და მოაბნიე შენი
სხივები ალთა-ბალთა...
მე ზურგს მიმაგრებს, მზეო,
შენი სხივების ბადე
და ჩემი ფიქრის ქორო
ახალ იმედებს ბადებს.

მიჭირავს შენი სათუთი მაჯა
და ვითვლი ასე სუნთქვის კლავიშებს,
ბნელი ღამე კი ირწევს ისე,
საცაა დილის სხივზე დაიფშვინეს.

ტაიამ დაიწყო ომი,
ომი დაიწყო ტაიამ...
დააცხვებს ქაღები ქონის,
თუხთუხებს ქოთანში ლობიო,
მწყემსი ერეკება ბატკანს,
ქუსლებში სიცივე ატანს...
მე მგზავრი ვაგრძელებ გზას.
ომია უწყლო და ვერაგი,
ვერავინ ალებს კარს,
ათასი თვალია მზვერავი,
ათასი ენა ყარს...
მე მგზავრი ვაგრძელებ გზას.
ყიდიან ბრინჯსა და ჭიჭყინას,
ყიდიან პურსა და ფქვილს,
ომია სახლში და ქუჩაში,
ცა მალა, მინა ძირს...
მე მგზავრი ვაგრძელებ გზას.
და ჩვენი აურზაური,
ნაბიჯ-ნაბიჯის თვლა,
მასკარადია „რჩეულთა“,
ჩვენთვის სიზიფეს ქვა...
მე მგზავრი ვაგრძელებ გზას.



სხივი

ღრუბლებში გამქრალ მზესავით დარჩი,
არსაიდან სხივს რომ მოგანვდენს,
თვითონ კი არ ჩანს.
მაშინ, როდესაც თვალებს მიჭრიდი,
რომ სიზმრებიდან შენი თავი ამოგეყვანა და დაგემალა,
ვერ ვიფიქრებდი, თუკი ასე შორს წაიყვანდი.
მე ეს შეგონა ისეთივე თამაში იყო,
როგორც ადრე „დახუჭობანა.“
მაგრამ მოვტყუვდი და პირიქით ვიქცევი ახლა,
ფართოდ გახელილ წარსულში გეძებ,
სამალავად ქცეულ წარსულში,
შენ კი სხივს მანვდენ,
თითქოს ღრუბლებში გამქრალი მზე ხარ,
და მე მინაზე სიზმრების ჩიჩქვით ველარ გიპოვი.

გზა სიჩუმეში

საკუთარ სიჩუმეში დავიბადეთ.
ვიპოვეთ ჭა და დავლიეთ წყალი.
ვიპოვეთ გზა და გავყვევით.
იყო სიტყვების უამრავი შრე
და შრეებში იყო სიჩუმე.

სხვებს კი ქონდათ ხმაური.
მძვინვარებდნენ მათი სიტყვები,
როდესაც ჩვენ ჩუმად ვხსნიდით ღიმილს
და ერთმანეთის თვალებს ვნმენდით
სხვადასხვა სიტყვებისგან.

გზებზე დაქროდნენ მანქანები,
რომელთა ძრავები და სიგნალები იპყრობდა ქალაქს.
ჩვენ კი მივგრბოდით მთელი არსებით
და ვამყლავდებოდით,
რაც კი ფეხებში სიჩუმე გვედგა.

ისე სწრაფად გაუჩინარდი,
თითქოს დილით გამომეღვიძა
და გავიფიქრე,
სიზმარი იყო,
გრძელი — მთელ ღამეში განელილი.
მოქმედება კი საკვანძო ადგილას განყდა,
სადაც შენ უკანასკნელად შემხვდი ასეთი,
ღიმილით სავსე და ბედნიერი,
რომ არანაირი სინანული თან აღარ გქონდა
და ჩემს თვალებში დაგუბებულ
ვერცერთ ცრემლს ველარ ხედავდი.

ისე სწრაფად გაუჩინარდი,
ცხადიც რომ იყოს,
ჯობს რომ ჩემს თავს გავუმეორო,
სიზმარი იყო,
მომქანცველი და სევდიანი,
რომლის მსგავსი აღარასდროს განმეორდება.

ხანდახან ასე გამომდის ძებნა.
როცა არც მინდა და არც მოველი.
ვჩხრეკ შემხვედრ ზურგებს,
თითქოს ნაცნობ მხრებს ვედევენები
და ვიხედები სახეებში,
როგორც უფრებში.
ყოველთვის ისე აღმოჩნდება,
რომ მათში თითქმის არაფერი დევს
და მეც ვიჯერებ,
რომ შენი პოვნა ასე მარტივად სისულელეა
(აქ უფრო მეტმა დღემ უნდა პრესოს
ეს მონატრება და სიარული.
აქ უფრო მეტჯერ უნდა დავენებდე და დაგივინყო.
აქ უფრო მეტჯერ არ დაგინახო, როდესაც გხვდავ,
და შენც სწორედ მაშინ უნდა გამოჩნდე,
როცა არ გელი).

წერტილი ადრე რომ დავსვი
და მან ისე დაიწყო გაზრდა,
რადიუსის გაფართოება,
რომ ახლა
საშინელ ორმოდ ქცეულა,
რომლის შიგნით ამოზრდილი ყვავილები
კვლავ წარსულის სურნელს აფრქვევენ.
შუშებივით ჩამემსხვრია ეს ყვავილები,
მე არაფრით გამომივიდა,
რადგან ყოველთვის მათი ფურცლები
ბატუტივით აღმოჩნდებოდა
და ჰაერში ამტყორცნიდა
ქალაქის თავზე,
სადაც ჰაერი უფრო ცოტა იყო, ვიდრე ორმოში.

ჩემი ცხოვრების ცა რომ გადახსნა,
ჩვენს შეხვედრაზე ნაოცნებარი ვარსკვლავები
ლოდებივით დაეშვებიან.




თორნიკე
რობაქიძე

დრო ხომ ისე დაპატარავდა,
ასანთის ხელა კოლოფში ჩაეტევა.
ის წარსულის დრო,
თითო ნაპერწკალს რომ ითვლიდი
ხელში ანთებულს.
ახლა კი, როცა მოგიწდება ამ დროის პოვნა,
უბრალოდ უნდა გამოალო
და დააკვირდე,
როგორ აღდება ერთდროულად
ყველა ცეცხლი გადამალული.

რამდენი რამ მოხდა ცნობიერების აკვარიუმში,
სადაც ჯერ კიდევ შემიძლია შენი დანახვა.
ყველაფერი ისე სრულდება,
რომ შენი თმებიდან არეკლილი სხივები მწვდება
და მღვიმედ, რომლადაც გადავიქეცი,
სინათლეს მჩუქნის.

თითქოს ეს მწვანე ბალახი,
ჩემმა ტკივილმა ამოიყვანა
და ეს მთებიც მხოლოდ ჩრდილია ჩემივე მხრების,
და როდესაც თვალებს ვხუჭავ,
მაგრადვე ვახელ,
რომ მზერა დაიფხვნას
და ცხოვრების პეიზაჟში ქვიშასავით მიმომეფანტოს,
რადგან დრო სიყვარულს ჩუმად გამომნოვს,
და მე უნდა აღმოვაჩინო ეს პატარა ნაწილაკები.





მარი თაბაგარი

ჭირისუფალი

დასასრული

— კარგი, დედა, ნავალ...
 — ჩემს თავს გაფიცებ, ისაუბრე, ისე ფეხი არ გაადგა სახლიდან. მაგიდაზე დაგინყვე ყველაფერი. მე ჯერ სამკერვალოში გავალ, გოგონებს მითითებები უნდა მივცე.
 — კი ვისაუბრებ, არ იდარდო. მშობი კიდეც.
 „შენ კარგად უნდა ისწავლო“ — ჩამესმა ლოთი ოთარის ნათქვამი. ავდექი, ტანსაცმელი გამოვიცვალე, ვისაუბრე და სკოლაში წავიქცე. უკან დაბრუნებულს ჩემი ოთახიდან თავი აღარ გამომიყვია.
 მეორე დღით დედას ვთხოვე, გასვენებაზე მეც დავრჩები-მეთქი. არა, არ არის საჭირო. ახლა შევიდეთ, გამოემშვიდობე და წადი სკოლაში, მეზობლებიც კი ყველანი არ იქნებიანო. აღარაფერი მითქვამს, დავემორჩილე. მე და დედა ერთად ჩავედით ლოთი ოთარის ბინაში. მივედი მის ცხედართან. ჯერ შეხება ვერ გავბედე, მერე წუხანდელმა ჩანაწერებმა ტიტრებით გაიბრინეს გონებაში და ამოვიოხრე, ცრემლები თქრიალით წამოვიდა თვალებიდან. ხელი შევახე მის დამჭმარ და გაყინულ ხელებს. ეს კაცი ჩემს ბაბუობას ნატრობდა, ვუყვარდი. მე კი ეს სიყვარული არ დავუფასე, ვერც დავინახე, არც კი შევეცადე, დამენახა. დღეს კი წავა და ველარასოდეს ვნახავ. არადა ხომ შემეძლო, ცოტა მეტი ყურადღებით მისი ტკივილი შემემსუბუქებინა, ლამაზი წუთები მეჩუქებინა. სხვას რას ითხოვდა ჩემგან, არც არაფერს. ვფიქრობდი ამ ყველაფერს და ვედარც ვაცნობიერებდი, როგორ ვსლუკუნებდი. თხუთმეტი წლის კაცი ვიდექი და პატარა ბავშვივით ვბღაოდი. მაგრამ სიკვდილი ხომ არც მსხვერპლის ასაკს ადგენს და არც ჭირისუფლისას. ჰო, ახლა „ჭირის უფალი“ მე ვიყავი. უცხო ან ახლადგაცნობილი ადამიანის ჭირისუფალი. მე უნდა მეტირა და დედას, სხვა ცრემლს ვერ გაატანდა. დედამ ტირილი დამაცადა. მერე მოვიდა, მხარზე ხელი დამადო, ჭიქით წყალი მომანოდა, ხომ კარგად ხარო. „დედას არასოდეს აწყენინო“ — ისევ ლოთი ოთარის სიტყვები ჩამესმა. დედას გადავხედე და ვუთხარი, კი კარგად ვარ; სკოლაშიც წავალ და ვისწავლი, არ იკნებები. მერე ვაკოცე და წამოვივდი. გაკვეთილზე ყურადღება მეფანტებოდა, საათს დავცქეროდი. გონებით ჩვენს ეზოში ვტრიალებდი. თუმცა გაკვეთილების შემდეგ ფეხით მარტო ვაფუყევი ქუჩას და სახლში ჩვეულებრივ გვიან მივედი. მეზობლები ისევ ეზოში იდგნენ. გამაკვირვა მათმა

სიმრავლემ, გასვენებაში მისვლას არ აპირებდნენ, ახლა კი აქ გამოფენილები რაღაცაზე ბჭობდნენ... მიზეზს გვიან მივხვდი. რომ დამინახეს, თავი ყველამ ჩემსკენ შემოაბრუნა. მივესალმე. მათაც საღმთოე მიპასუხეს. სახლში ავედი. დედა სავარძელში იჯდა. ხელში შუაზე გაკეცილი ფურცელი ეჭირა და ჩაფიქრებული სადღაც ერთ წერტილს უყურებდა. ნამტირალევი თვალები დანითლებოდა და ქუთუთოები შეშუპებოდა.
 — დედა, ხომ კარგად ხარ? — ვკითხე ცოტა შემფოთებულმა.
 — თორნიკე, ლოთი ოთართან რომ საჭმელს გატანდი, საუბრობდით ხოლმე?
 — რა ვიცი, ცოტას, ხანდახან...
 — რაზე საუბრობდით?
 — როგორ ვსწავლობდი, რას ვაპირებდი მომავალში...
 — რას აპირებდი, რა უთხარი?
 — რა მოხდა, დედა?
 — არაფერი მომხდარა. უბრალოდ, რაც ცოდა შენს ოცნებებზე, მაინტერესებს.
 — ის, რომ რა სპეციალობასაც ავირჩევდი, საფუძვლიანად მინდოდა მისი შესწავლა.
 — გასაგებია! — თქვა დედამ დიდი ფიქრის შემდეგ.
 — რა არის გასაგები? — ახლა მე დავიბენი.
 დედამ არაფერი მიპასუხა — წამოდგა.
 — დედა, რაღაც მოხდა და არ მეუბნები.
 სამზარეულოდან გავიდა. ცოტა შევჭამე და მეც მისაღებ ოთახში შევედი. კითხვა აღარ დამისვამს, დედამ ისე გამომინოდა ორად გაკეცილი ფურცელი:
 — აი, ეს მოხდა!
 ფურცელი გავშალე და ყველა ასო ერთმანეთში აირია. მხოლოდ ჩემი სახელი და გვარი წავიკითხე გარკვევით. დედას შევხედე:
 — კარგი რა, დედა, რა არის ეს. მართლა ვერაფერი გავიგე?!
 — ლოთი ოთარის მსგავსი ადამიანები კეთილ კვალს ტოვებენ. ცუდი ისაა, რომ მათნაირების დანახვა და დაფასება სიცოცხლეშივე არ შეგვიძლია. გუშინ გითხარი, წერილები დატოვა-მეთქი. იმ წერილებიდან ერთი შეივსე ეკუთვნოდა, მეორე — ციხის ადმინისტრაციას, მესამე კი შენს ხელშია. მაგ წერილი უბრალო სარდაფში დატეული და ვერდანახული დიდი გული დევს. შენ სწავლას გთხოვდა ის ბერიკაცი და გაიმედებდა, რომ შეუძლებელი არაფერი იყო. ჰოდა, თავისი ბინა დატოვა შენთვის. გაყიდვის შემდეგ მთლიანად შენს სწავლას მოხმარდება. დანაპირები შეასრულა. ახლა შენი ჯერია...

ანდრო ბუაჩიძე საუბარი პაკო სვიმონიშვილის ორენოვან ნიბნზე

დასასრული

რომანტიზმის ხანიდან აზრი თანამონანილებს და ქმნის მთლიან სტრუქტურას, მაგრამ ხშირად უტრირებულია, კონტრუბუმოლილია, გაბუნდოვანებულია და ტრადიციული გაგებით აზრობრივი ნიშანი კი არ არის, უფრო მუსიკალურ-ინტონაციური კომპონენტია. შემდეგ, უკვე სიმბოლიზმის პერიოდში, ეს ტენდენცია უფრო ღრმად ვითარდება. მომდევნო წლებშიც, ფრანგული სიურრეალიზმის, იტალიური ჰერმეტიზმის, გერმანულ-ავსტრიული ექსპრესიონიზმის წარმომადგენლებთან თვალსაჩინოა თანამედროვე ლირიკის ყველა ის თვისება, რომელსაც ძალზე საინტერესო მკვლევარი ჰუგო ფრიდრიხი აღწუსხავს და ამზერებს. ვნახოთ, რას ამბობს იგი იტალიელი პოეტის უნგარეტის შესახებ: „უნგარეტის ყველა ლექსი ატარებს ფრაგმენტულობის ნიშანს, ყველაზე ძლიერ მისი ხელწერა მოკლე ლექსებშია გამოხატული. ამ ლექსების წაკითხვა შინაარსის თვალსაზრისით შეუძლებელია, ზოგჯერ საოცრად უმნიშვნელოა, სრულიად აუხსენელი. მისი სიტყვები, რასაც ვერავითარი თარგმანი ვერ გადმოგვცემს, ტონალობის ფორმულებად უნდა აღვიქვათ, რომლებიც მომწესხველ ჟღერადობას ქმნიან.“
 უნგარეტის მცირე მოცულობის ლექსებში შინაარსი არამცთუ მინიმუმადეა დაყვანილი, არამედ მთლიანადაა ფორმად ქცეული. აქ შინაარსობრივი პლასტიკა მომავადოვებელ ჟღერადობად გარდაისახება. ჰუგო ფრიდრიხი წერს, რომ ამგვარი პოეზიის თარგმანს შეუძლებელია.
 პაკო სვიმონიშვილის ლექსები ითარგმნა, მასწავლებელმა, აქ შინაარსობრივი პლასტიკა არსებობს, განაწილებულია აზრობრივი აქცენტები, რომლებიც მთელ ლექსს შემოწერენ. მასწავლებელმა მარინა ცვეტაევას ნათქვამი, როცა ლექსის თარგმნას ვინყებ, ჯერ მთავარ სტრიქონს ვთარგმნიო. „მთავარი“ შეიძლება წმინდა აზრობრივ მომენტს კი არ ნიშნავდეს, არამედ განწყობისმიერს.

 პრუსტი წერს: ხელოვანი ისევე მოქმედებს, როგორც მალალი ტემპერატურა, რომლის ზემოქმედებითაც ატომთა კავშირი იშლება და სრულიად სხვა ჯგუფად იკვრება“. ასეა პოეტიც.
 ის მუდმივად მალალ ტემპერატურაზე ცხოვრობს. ზეანული ტემპერატურა აჩქარებს შემოქმედებით პროცესს. ეს ინსპირაციის მოკლე დროითი მონაკვეთია, როდესაც „ატომთა კავშირი იშლება და სრულიად სხვა ჯგუფად იკვრება“.
 ვფიქრობ, პაკო სვიმონიშვილს ეს ინსპირაცია მოქმედებს, ვინაიდან ის „მხატვრული ნესრიგი“, ის სტილი, რომელიც თვალმისაცემია მის ლექსებში, სწორედ ამ ზეანული ტემპერატურის დროს იქმნება.
 პაკოს საუბრები პოეზიაზე, მისი ინტერვიუები სადა და უბრალოდ. პაკოსთვის უცხო იყო პოეტის პოზა და მანერულობა. როგორც უკვე ვთქვი, ის ერთგან ამბობს, რომ პოეზიაზე საუბარი საწოთირო რამეა, ვინაიდან ძნელია თვითონ პოეზიის გაგება. ამიტომაც ის არ განსჯიდა, ის ქმნიდა.
 პაკოს ლირიკული პანორამა დროსა და სივრცეშია გაშლილი. მის მიერ დახატული წარსულის სურათები და რეალიები მუდმივად მარადისობის შუქზე არეკლილი. მართალია XX საუკუნის პოეზია ხშირად ტრანსცენდენტურში გასასვლელ გზას ეძებს და ვერ პოულობს, მაგრამ პაკო წარსულის იმ რელიკვიებს ეხება, რომელთა ზედაპირზეც მარადისობაა აღბეჭდილი.

 ადრე მე ვწერდი, რომ პაკო სვიმონიშვილის პოეზია ექსპრესიონიზმის მსოფლმხედველობრივ არეალში ტრიალებს, ოღონდ იმასაც აღვნიშნავდი, მასთან ტრადიციონიზმისა და, ზოგადად, ამქვეყნიური არსებობის განუმეორებლობასთან, სიცოცხლის მძაფრ სიყვარულთან არის-მეთქი განზავებული. შეიძლება ვინმემ ეს ორი რამ (ხატვის ექსპრესიონიზტი და ნიშნობა და სიცოცხლის სიყვარული) ურთიერთგა-

მომრიცხველად მიიჩნიოს, მაგრამ არა მგონია, მთლად მართალი აღმოჩნდეს. ექსპრესიონიზმისთვის მძაფრი ემოციურობაა ნიშნული და, როგორც ტრადიციონიზმი უნდა ახასიათებდეს მას, სიცოცხლის მგზნებარე ალქმა ამ ტრადიციონიზმზე იქნება ნაგულისხმევი. ასეა პაკოს ლექსებშიც.

 პაკოსთვის წარსულის გაღვივება იგივე მარადისობაში გასვლაა:
*ცა მიტკალია, ანგელისის მიტოვებული,
 მეოხის ხელი ოფლს გადანმენს
 მაცხოვრის სახეს,
 ოქროს გუთანი ჩახნავს მინას,
 მინდად გებული,
 პური და ღვინო
 გააბრწყინებს დამზრალ სანახებს.*
 აქ მართლაც საკრალური სამყაროს წესრიგია წარმოჩენილი, აქ არის ამქვეყნიური ტანჯვა, ტკივილიც და ჭირთათმენაც. მაგრამ ყოველივე ამას მალალი დღის კამკამა ნათელი ევლება თავზე. ეს რწმენის ნათელია. ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება დარჩეს კაცს, რომ პოეტი ნიშნობის ეპოქიდან ლეტიკურთხეულ ხანაში იყურება, აქედან ჭკრეტს საუკუნეთა წიაღში გათენებულ დღეს და სიყვარულით სავსე მზერით ეხება ყოველ საგანს.

 არსებობს გამოთქმა „თანამედროვე პოეტური აზროვნება“, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ პოეზია ერთგვარი რელიქტია, ძველის გადმონაშთი, პრეისტორიული ლაღადისი. ის, რაც ორტეგა-ი-გასეტმა მეტაფორული აზროვნების შესახებ თქვა, თანაბრად პოეზიასაც ეხება: „მეტაფორა უდიდესი ძალაა, რომელსაც კი ადამიანი ფლობს, იგი ჯადოქრობას ესაზღვრება და სამყაროს შექმნის იარაღითაა, რომელიც ღმერთს მის მიერ შექმნილ არსებებში დავინყვებია ისევე, როგორც დაბნეულ ქირურგს ზოგჯერ, ოპერაციის დროს, პაციენტის სხეულში აწივდება ინსტრუმენტი“.
 მე ვფიქრობ, პაკო სვიმონიშვილის პოეზიაში თანამედროვე პოეტური აზროვნება იგრძნობა და სიძველეს გამოსჭვავს.

 როგორც უკვე ვთქვით, პაკო სვიმონიშვილს თეორიული დეკლარაციები არ დაუნერია პოეტურ ძიებათა შესახებ. ის ქმნიდა და, ბუნებრივია, აანალიზებდა ლექსის თხზვის პროცესსაც და შედეგსაც. მხატვრული თარგმანის მიმართ მკაცრი და უშეღავათო იყო, ვინაიდან მასქიმალურ აზრობრივ სიახლოვეს მოითხოვდა. უფრო მეტიც, მისი წარმოდგენით, დედანი და თარგმანი ერთად უნდა გამოხეყნებულიყო, რათა ყველა მკითხველს მისცემოდა შედარების საშუალება.
 თვითონ პაკოს ორენოვანი, ქართულ-გერმანული ტექსტების ნიგნი სათავეს დაუდებს ახალგაზრდა ქართველი პოეტების გერმანულ ენაზე თარგმნის ახალ ეტაპს. საქმე ის არის, რომ თომას შოიზერმანმა თარგმნის პროცესში დეტალურად განმარტა პაკოს ლექსები და ეს განმარტებანი დაურთო ნიგნს.

 მე ამ რეცენზიაში თარგმანის პრობლემას არ შევხებივარ, ვინაიდან ეს ჩემს კომპეტენციას სცილდება. აქ ალბათ გერმანისტები იტყვიან თავიანთ სიტყვას და კარგი იქნება, თუ თომას შოიზერმანი თვითონვე ისაუბრებს მის მიერ შესრულებულ თარგმანსა და კომენტარებზე. დარწმუნებული ვარ, პაკო სვიმონიშვილის შემოქმედება თომას შოიზერმანის წინაშე მუშაობის პროცესში მიმზიდველი და საინტერესო კუთხით წარმოჩნდა. მე კიდევ ერთხელ მომეცა საშუალება, მესაუბრა პაკოს ლექსებზე. მსურდა, ჩემი შთაბეჭდილებანი გამეზიარებინა იმათთვის, ვისაც ზოგადად იზიდავს პოეზიაზე საუბარი. არ ვიცი, რამდენად შეეძელი, მაგრამ ვცადე, თავისუფლად მესაუბრა, ვინაიდან ეს ნიგნი სწორედ საამისოდ განმანწყობდა.



დაბიუტი ლია მიქაბერიძე

მცხეთის ადამიანი

აი, დეკემბერიც გაცდა...
 გულგრილად ნუ დამაკვირდები
 და შვიდჯერ სამოცდა... სამოცდა...
 ათივე შენდობას გპირდები!..
 აბსურდის დახვეწილ ქაოსში
 ყრუდ ჟღერენ ნატიფი ხმოვნები,
 ნივთები, აქ, სააქაოში,
 ჩემს მიმქრალ კვალს იმახსოვრებენ
 და რაც კი ოდესმე მიგრძენია,
 განივთდა იდუმალ შეხებით,
 ეს, ჩემი სულისთვის იბრძვიან
 შავ-თეთრი ღრუბლები მეხებით...
 დღეს კი დეკემბერი გაცდა...
 შენიშნავ, თუ დააკვირდები,
 ოცნებასავით რომ წამოსცდა
 ზამთარს იასამნის კვირტები...

„ყოველი ადამიანი ჩემზე უკეთესია“.
ილუმენია ანტონინა

უკან დაიხიე, მეგობარო! —
 ადამიანი ქმნილება,
 რომლის ალქმა
 გარკვეული დისტანციიდან ხედვას საჭიროებს...
 გთხოვ, უკან დაიხიე,
 თორემ, ვაითუ სიყვარული არ გეყოს
 და რა იცი, რა მოგეჩვენება.
 აი, ჩემი მეგობრის მწვანე თვალებიდან
 მისი ცადაფრენილი,
 მარად ათი წლის,
 ბიჭი რომ იჭყიტება,
 შენ იქნებ შვილმკვდარი დედისთვის
 შეუფერებელი მხიარულება გეგონოს
 და დაბრკოლდე...
 მძიმეა ცოდვა სატარებლად,
 უკან დაიხიე, მეგობარო,
 და სანამ თვალებზე
 სიყვარულის ლიბრი არ გადაგეკვრება,
 შორიდან უყურე,
 ახლოს არ გაეკარო ადამიანებს!..
 ეს ოხერი გამადიდებელი შუშაც გადაადგე!
 ეგ ხომ მხოლოდ სარკეში ყურებისას
 არ ამახინჯებს გამოსახულებას!..
 უკან დაიხიე, საყვარელო!..
 გაშალე მუშტებადშეკრული, ნატიფი მტევნები,
 დაყარე ქვები...
 აი, ხედავ, სისხლი გდის ხელისგულებიდან?!
 წამოდი, ჩამოგბან...

მოვლენ ქარები
 გაშმაგებით და გახელებით
 და არც ამგვარი
 სილამაზე გაუკვირდებათ...
 უშველეთ რამე,
 შეაჩერეთ ტყემლის ხეები,
 სიხარულისგან დახეტქვაზე
 რომ აქეთ კვირტები.
 უთხარით რამე,
 მზეს უთხარით,
 თვალს მიეფაროს,
 თორემ დაათრო დედამინა
 სითბომ სრულებით,
 გაზაფხულამდე სჯობს
 რძისფერი ნისლი ეფაროთ,
 თორემ ხეები,
 სიყვარულით გათანგულები,
 ვერ იკავებენ სიხარულებს,
 უსკდებათ გული, —
 შეციებული, დაზაფრული,
 სითბოს ნატრული...
 და ნუხს ზამთარი,
 გაზაფხულზე შეყვარებული,
 ჭერმის ყვავილებს,
 ქარებს შორის
 მიმოფანტულეს...

ქრისტეშობის მარხვა

გათენდება და
 თეთრონ აფრებად
 ჩამოივლიან
 ღრუბლის დევეები,
 დრო წკვარამიდან
 ამონათდება,
 მეც შორიხლოს
 ავედევნები.

ამონათბენ
 ლურჯი ხეები
 ზამთრის უმზეო
 დღეთა თენებას,
 გამოისხამენ
 ჩიტებს ხეები
 მიმოფრთხილენ,
 მსუბუქ მტევნებად...

დავდგები ახლა
 და ერთგულ ჩიტებს
 ვუფშენი სინანულს
 გამოთბობამდე,
 დაინყო მარხვა,
 ქრისტეს ვერ იტევს
 ხორცი, შორია
 სულის შობამდე...

თებერვალში კი, როცა სისხამი
 იმედს ჩასახავს ხეში კვირტებად,
 ხეები ჩიტებს გამოისხამენ,
 ჩიტებს
 ხეები
 გაუკვირდებათ...

„სინესთეზიის მქონე ადამიანები კარგი ინტუიციითა
 და მაღალი მგრძობელობით გამოირჩევიან. ისინი
 ფიზიკურად განიცდიან სხვის ტკივილს.
 ეს ფენომენი გამოწვეულია სარკისებრი ნეირონების
 ზედმეტი აქტიურობით.“
 ინტერნეტიდან

სამყაროს სევდა გენებით დააქვს,
 გზები ფეხთაქვემ ფენებიან,
 მისი ზრახვები ისე სუფთაა,
 რომ ცას, ღრუბლებს ზეფერებინანს,
 ეჭურჩულება, რათა შეიტყოს,
 რა იგულისხმა მასში გამჩენმა,
 რომ სხვათა ტვირთი მხრებზე შეინყოს
 და კაცში ღმერთის გადასარჩენად
 ენთოს იქ, სადაც არვინ პატიობს
 მტრისთვის ლოცვას და ნატკენ ყვრიმალებს,
 რა ვეფხის დედა, რის ემპათია,
 საკუთარს ჩივის ყველა მტკივანი
 გულის პატრონი, დარჩა აღარსად
 სხვისი ვაების თანაზიარი,
 ვერ დაიტია თემმა ალაზა,
 სხვა ვინ გაბედავს, გაიზიაროს
 გადამთიელის, უცხო გვარ-ტომის
 ღირსებისა და მაღლის ბარძიმი,
 ვინლა შეიძლებს ცრემლით დაღტობას
 სხვათა ვარამის... ძვირფას განძივით
 ინახავს ყველა საკუთარ ტკივილს,
 ალაზას კვლავაც განკვეთს თემი და
 სამშინველს ტყვედ ჰყავს სული, მის კვილს
 ვერ ისმენს, ყრუ და ბრმაა თემიდა...

დასაბამიდან ცოტანი იყვნენ,
 იბადებოდნენ მარად ბავშვები,
 მუდამ შეშლილებს ეძახდნენ ბრიყვნი
 და სულთა კვდომის არდასაშვებად
 კელაპტრებივით ანთიან კვლავ და
 პრაგმატულ დროს რომ გაუკვირდება,
 მოყვასზე ზრუნვით თავს მოიკლავს და
 მერე ზამთარშიც ფეთქავს კვირტებად
 ქალი...
 და მშვიდი ღიმილით ისმენს:
 „სარკისებური ნეირონები
 გააქტიურდნენ ალბათ და ისევე
 სხვათა ტკივილებს იმეორებენ...“

ღამისთევა

რატომღაც ყმუის მეზობლის ძალი,
 რაღაც მსურდა და ისე ვერ არის,
 სხვის და საკუთარ ვნებებით დალილს
 ჩამსაფრებია მტერი ვერაგი.
 ნუხს ნუთისოფლის მდაბალი სული,
 რომ ვუძღვებ ჯერაც მის ბასრ მარწუხებს,
 რომ უთვალავი ჯანდაბის მსურველს
 მაინც მთავარზე დარდი მანუხებს.
 ვერ დამღრღნის ეჭვი მტკივან კბილივით,
 და არავისთან თავს არ ვიმართლებ,
 რა ბედენაა სულის კვილი,
 შენი მაქვს როცა გზაც და სინათლეც.
 მზეს მინთებ ღამით, ძნელია ერთობ,
 იცოცხლო და არ აჰყვე გულისთქმებს,
 სიყვარულისთვის ჯვარცმულო ღმერთო,
 ჩემში ნეტავი რა იგულისხმე?
 როგორ გავკვალო გზები და საით,
 ტყე-ტყე ვიარო? გავყვე ლელიანს?
 ხეს ნაადრევი ჭაღარასავით
 ფოთოლში დარდი გამორევიან.



ჯერ არა...

მერე, როცა ამ საშინ
 მოსახვევებს გავცდები,
 ჩამომსხვრეულ მირაჟებს დავალაგებ იმგვარად,
 კალეოდოსკოპივით
 შემინახონ განცდები,
 ვიდრე დროის მდინარემ გზაგასაყარს მიმგვარა;
 მერე, როცა ძილ-ღვიძილს
 შეაცვდება ფიქრები,
 უმნობით დაღლილი, დრო რომ შეწყვეტს ფორიაქს,
 ზღვის თუ იასამნების ფერში გარდავიქმნები
 და მოვუსმენ მარადი
 სიცოცხლის სიმფონიას.

ზამთრის ექსპოზიცია სხვადასხვა რაკურსით

დგანან ხეები,
 ეშაფოტები,
 სიკვდილმისჯილი
 ფოთლებიც თან აქვთ,
 ჭრელი, ტლანქი და
 მძიმე ბოტები
 ლაიტმოტივად
 მისდევენ ქალაქს...

მჭირდები, როგორც
 ქალს სინატიფე,
 სიმართლე სიტყვას,
 გრძობას — სიცხადე,
 რომ არ დამემსხვრეს,
 ყველაზე მყიფე,
 რაც კი რამ მითქვამს,
 და ამიცხადდეს
 მივინყებულები
 სიზმარი, სადაც
 ჩვენ ჩვენ კი არ ვართ,
 ვფლერვართ ნოტებად,
 დახვეწილი და
 უბრალო კაბა
 ფრიალებს ქარში
 და პოეტებად
 იბადებიან
 ქარში ფერები,
 და პირველქმნილი,
 სუფთა ბგერები,
 მთელი სისავსით
 ანაფლერები,
 სხვა მტკივან სულთა
 მოსაფერებლად
 სივრცეს ავსებენ
 სხვა სიმღერები...

თვალს არ კანრავენ
 ტლანქი ბოტები,
 სადაც უსაგნო
 გაბოროტებით
 არავინ არვის
 არაფერს
 ერჩის...

ხეები სდუმან,
 თითქოს ტოტებით
 მკრთალი ზეცისგან
 ტიხრავენ ქალაქს,
 პატარა გოგო
 ჭრელი ბოტებით
 დარბის სკვერში და
 ზაფხული დააქვს...



ჰაფეზ შირაზელის

მხოლოდ ნარგისს აქვს უშფოთველი ვენება თვალეში, სხვა მიჯნურს სული შფოთვისათვის მიუყიდის.

მსხვერპლად მიწამე, ბალ-ბალნართა არსთა გამრიგე, შენს შექმნილ ვარდზე უნეტარესს ვერსად ზმიდიან.

ჰაფეზს სიმდიდრე სოლომონზე მეტი აქვს, მგონი, მის ხელში ქართა ქარავენები მოდი-მიდიან.

ვარდი აყვავდა, მთვრალ ბულბულს სურს
იმ ბალნარის მიგნება,
სადაც ღვინის და ლხინის წილ გვინდა პატივის მიგება.

თვით ქვაზე მტკიცე ფიციც კი ბროლის ჯამების ტრიალით დაიმსხვრევა და ის მინის პირიდან აღმოიგვება.

ღვინო დამისხი! — ზენაართ სამყოფის კართან ვინც მივა, სულთანია თუ ბოგანო, მსგავსი განკითხვით იდგება.

ამ ორკარიან სამყაროს მოსვლა-წასვლა აქვს წესად და თვით ჩარდახ-აივნებიც კი აქ სულ ამაოდ იგება.

ვარდს რომ უეკლოდ ვერვინ კრეფს,
განგების ასეთ განაჩენს
რადგან მივენდეთ, ჩვენს გზაზე ყველგან ეკალი ირგვება.

აქ სრულყოფილს თუ კრულყოფილს
ბოლო ერთგვარი მოელის,
ჰოდა, არ უნდა გაგტანჯონ ყოფნა-არყოფნის ფიქრებმა.

გინდ ფრინველთ ენა იცოდე,
გინდ ქარის ცხენით დაჰქროდე,
ეს ყველაფერი, ბატონო, მიიჩქმალება, მიქრება...

ვისაც ფრენა სურს, ახსოვდეს,
გატყორცნილ ისარს რაც ელის:
თუნდ ზეცას შესწვდეს, ის მაინც ჩამომინ-ჩამოინთქმება...

დასასრული აქვს ყველაფერს და მხოლოდ **ჰაფეზის** ლექსი ხელიდან ხელში გადასვლით მარად ცოცხალი იქნება.

მომღიმარი... ვნებით მთვრალი... თმა ქარდაქარ რხეული...
ლექსის თქმით და ფილით და პერანგჩამოსხეული...

თითქოს მწყრალი... მისი თვალი საყვედურით მზირალი...
ჩემს სანოლთან შუალამით თვისი ნებით წვეული

ჩამოჯდა და სევდიანად მითხრა: „ნუთუ გძინავსო?!
ჩემს ძველ მიჯნურს
თვალთან ძილი რად აქვს შემოჩვეული?!“

სატრფო მეტრფეს ასეთ ღვინოს
რიჟრაჟზე რომ მიართმევს,
თუ არ შესვა, სიყვარულში იყოს მარად წყეული.

განვედ ჩემგან, განდეგილო, ღვინო თუ არ გწადია...
ცისქვეშეთში მხოლოდ ღვინო არის ჩვენგან რჩეული!

ღვინო ერქვას და სულ დავლევ, იყოს გინდა ყურძნის და
გინდ სამოთხის სასმისთაგან წვეთ-წვეთ ჩამოფრქვეული.

ჰაფეზი ვივით ბევრ ღვინოსმოსავს რწმენას შეაცვლევიანებს
მოციმციმე ფიალა და ზილფი ზილფში ხვეული.

მოგვთა სამყოფს ფილით რომ ჩემი სატრფო ეწვია,
ღვინის მსმელი თრობას მხოლოდ მის თვალთაგან ეწია.

მის ცხენს ნალიც ახალ მთვარეს მიუგავს და ლერწამი
სინარნართ მას ვერ ჯობნის — რალაც ერთი ბენვია.

რა ვთქვა — ვინ ვარ?! ჩემს შესახებ არაფერი ვიცი და
რას ვიზამდი, ტრფობას გულში რომ არ შემოელენია?!

სანთელიც კი ქრება ჩვენთვის, სატრფო რომ მიგვატოვებს
და ებრწყინდებით, თუკი სატრფო გზაში წამოგვეწია.

სატრფოს ზილფებს სურნელებს მუშკ-ამბარი არ აძლევს,
სურნელება მის ზილფთგან სახვენარ-სახვენია.

დაუბრუნდი **ჰაფეზს**, რომ ის კვლავ ეწიოს სიცოცხლეს,
თუმც მშვილდიდან ნატყორცნ ისარს, აბა, ვინ დაენია?!

ვფიცავ შენს სულს, რომ ჩვენი მფარველი
თავად განგება როცა მგონია,
ჩემს სურვილს ზეცას ვუშხელ და მე ეს
შენს სიკეთეზე ლოცვა მგონია.
წარღვნად მიჩნს ჩემი ცრემლი ეული,
რადგან ტრფობა მაქვს მკერდზე ჭდეული,
აქიდან მისი წაშლის სურვილი
ფუჭად მოცლილთა მოცლა, მგონია.

დავკარგე გული, წამიხდა რჯული
და სატრფომ ასე გზარეული
დამინახა და მითხრა: „გამშორდი! —
ნულარ მოხვალო ასე სნეული?!“
ვერვინ მოჭამა ლხენით სოფელი,
ვინც იყო ერთხანს ჭკუათმყოფელი,
ის გულისსწორთან ლაღად მყოფელი,
დღეს სინანულის გზას სდევს ეული.
თვით სანთელს, გრძელი რომ უჩანს ენა,
დაჰბრაღდა, ვით ყბედს, სიტყვათა ცვენა
და ასეთ ცოდვას რომ ინანიებს,
ინვის და სულ დგას ფეხზე წყეული.
ნირი წაუხდათ ვარდსა და საროს,
აპრილის სიო მათ აღარ სწყალობს
და სურნელისთვის ის ჩემი სატრფოს
ლანგებთან არის შემოჩვეული.
ჩემს სატრფოს, ოდეს აღსავსეს ვნებით,
ცის ბინადარნი ნახავენ ნებით,
თვით განკითხვის დღეს ყველა იქნება
შეუცნობ ცოდვა-ბრალთან წვეული.
სარო ამყად რომ ებრძვის ქარებს,
სირცხვილით ბუჩქებს თავს შეაფარებს,
როს ჩემი სატრფო შემოვა ბაღში
ბილიკზე ნაზად შემოიხეული.
ჰაფეზ, დაეხსენ დერვიშის სამოსს,
შენ სატრფომ სული რომ დაგია მოს;
ფარისელობის ჟამს ვივინყებთ და
ბრიალებს ტრფობის ცეცხლი გრძნეული.

არ თქვამთ მიჯნურზე — „მისი კვენესა ცოდვაა კრული“,
ცოდვილნი თქვენ ხარ,
რომ არ გესმით ტრფილით თქმული.

მე სააქაო-საიქიოს ფიქრს არ ვიკარებ,
მადლობა უფალს! — უგნურებაც მასწავლა ბრძნული.

ვერ გამოგია — სხვა ვინ ცოცხლობს ჩემს გულში კიდევ?
მე ვდუმვარ, მან კი ამიკვენესა გნისით გული.

დღეს მე უნილობდ ვმდერივარ და სად ხარ, მუტრიბო,
საამო ჰანგი რომ შემიწყო, ნუთუა რთული?!

ამქვეყნად მხოლოდ ცუდს ვხედავდი,
თუმც სატრფოს სახე
ვნახე და ახლა ჩანს მშვენება ამქვეყნის სრული.

მე თრობით საშველს ვეძებ ახლა ღვინის სარდაფში, —
ასი ლამეა, რაც ვფიზლობ და არსად ჩანს რული.

სისხლის ცრემლებით ჩემს სენაკში დავიხრჩო ლამის,
ღვინო მასვით, რომ დავივინყო ეს ყოფა მტრული.

ჩემს გულში რადგან ჩაუქრობლად ანთია ცეცხლი,
ყველა თაყვანს მცემს,
რაგინდ ჰქონდეთ მათ უცხო რჯული.

ტრფობის მუტრიბმა ნეტავი რა ჰანგით დამათრო,
კვდები და მაინც ჩემთვის არსად ჩანს დასასრული.

ჰაფეზს ნუხელის შემოესმა სატრფოს ძახილი
და მის სხეულში წამიერად გაბრწყინდა სული.

ჩემს ფიქრებს არ შორდება შენი სახის ზმანება,
შენი თმების სურნელმა თავი არსად მანება...

მცველნი ზნეობისანი ჩემს ტრფილს რომ კიცხავენ,
ნახონ შენი სახე და თქვან — მე მქონდა სხვა ნება?!

ნიკაპსზემთ „ჭა“ რომ გაქვს, მითხრა: „აქ ჩასავარდნად
ათას მისრელ იოსებს თავი არ ენანება“.

შენს ზილფებს ჩვენ, ვით საბელს, ვერასოდეს მივებით,
ჩვენი სული რადგან შორს მსახვრალ ბედისგან ება.

წანატრ სატრფოს სავანის კარის დარაჯს უთხარით:
„კართან მჯდომი უღირსთა მოდგმას არ ემგვანება,

აქ ჩამომჯდარს არასდროს არ უნახავს სატრფო და
ელანდება სულ მისი გარეთ გამობრძანება“.

აქეთ წლობით მავალი **ჰაფეზიც** რომ ამ ჭიშკარს
მოადგება, გაეცით მისი გახსნის ბრძანება.

თრობა მწადია! — რა დროს ზნე და რა დროს რიდია?!
ხელიდან ჯაში, რა ხანია არ დამიდია...

რანამს სიყვარულს ვეზიარე, ვუთხარ „მშვიდობით“
ყველას, ვინც ცხოვრობს სინრფელით თუ ვინმე ფლიდია.

ღვინო დამისხი და განგების ზრახვას ჩავწვდებით,
ტრფილის ტვირთი ვისი სახის გამო მკიღია.

მთასა თუ ჯინჭველს ტრფობის ზიდვა
ერთგვარად უმძიმთ...
იმედს ნუ კარგავ, მასში მადლიც დიდზე დიდია.




ამ ჩემს გაბზარულ გულს თუ მოიგებ,
 მრავალ სარგებელს ერთად მოიხრებ, —
 გაუბზარავზე მეტი ფასი აქვს
 მას ათასად და ოცად... მგონია,
 ჯინჭველის სიტყვა ვეზირსაც სწვდება,
 მასში სიმართლე თუ მყარად ჩნდება,
 სიმართლის განცდას ვინც კარგავს, შვება
 თუ ძებნა, ფუჭად მოცდა, მგონია.
 ფეხს სასიკვდილო ბილიკზე დავდგამ,
 სატრფოს თუ ეჭვით შევხედე, რადგან
 ნუთისოფელმა მე სიყვარული
 სამარადისოდ მომცა, მგონია.
 სულში სინრფელე ფრთებს თუ არ ისხამს,
 პირშივე ხვედები წყვილიად თუ სისხამს;
 მზე ჩემთვის შენმა ღიმილმა შობა,
 მის მშობლად ცაც და დროც არ მგონია.
 შენგან სიბრალულს რომ აღარ ველი,
 ბინად რომ მექცა ველური ველი,
 მომავლის იმედს ამითლა ვშველი,
 ჩემს სამოსახლოდ რომ ცა მგონია.
 სჯობს განიშორო, **ჰაფეზ**, შენ დარდი,
 ბაღს ნუ სჯი, იქ თუ ვერ ჰპოვე ვარდი...
 თანაგრძნობას თუ ელი, ამაო
 მოლოდინი და მოცდა მგონია.

ჩვენ ახლა შენზე ოცნებაც გვატორობს,
 ღვინით დატორობა, აღარსად ხდება?! —
 უჩვენოდ, ალბათ, ღვინის მარანი
 დაინგრევა და გაპარტახდება.
 თუნდაც დამისხათ სამოთხის ღვინო,
 მე იქ საამოდ ვერ მოვიღვინო, —
 თუ სატრფოს ხილვის იმედი არ მაქვს,
 სამოთხეც ერქვას, სევდა დამხვედება.
 ნავეიდა სატრფო... აცრემლდა თვალი...
 აღარსაით ჩანს გზა თუ კვალი...
 ცრემლებს ნიაღ მისი დაღანდვა
 წყალზე უაზროდ ხატვა გახდება.
 იფხიზლო უნდა, ო, ჩემო თვალო,
 და მარტოობის ტყვიელი თვალო,
 ან შენი ძილის საბუდარებში
 ყველა სიზმარი წარღვნი ნახდება.
 სატრფოს პირბადით არ სურს იაროს,
 თავის სიტურფეს, სურს, მაზიაროს,
 და ზურგს შემეპქევს, თუ ტრფობის გარდა,
 გულში სხვა გრძნობა ჩამისახლება.
 ვარდმა იხილა შენი ღანვი და
 ტრფობა მის არსთან ისე დაწყვილდა,
 ვნების ცეცხლს ვარდის წყალს აპკურებს და
 რომ ვერ ჩააქრობს, განა არ ხდება.
 რადგან საწუთრო არის ზმანება,
 არ შემრჩენია ქვეყნად სხვა ნება,
 რომ არ ველოდო გაზაფხულს, როცა
 სიცოცხლე თითქოს განმიახლებდა.
 ბანგმა მოიცვა ჩემი გონება,
 არც ფიქრობს, არც რამ გაეგონება...
 როდესაც მესმის ჩანგის ჰანგები
 აღარ მადლელებს ქვეყნად რა ხდება.
 ან საძრახისი რა ჩანს ამაში,
ჰაფეზ თუ უყვარს მზერით თამაში?!
 მის სიტყვებზე თრობა სულ თან სდევს
 და სიყვარულიც სულ თან ახლებდა.

ახლა რომ მოქრის ნიავი ნელი
 და გაზაფხულის მოაქვს სურნელი,
 კვლავ ვარ ჰურიის მსგავსი სატრფოს და
 მაცოცხლებელი ღვინის მსურველი.
 დღეს გლახაკს თავი მეფე ჰგონია,
 ნუ სძრახავთ, ეს რომ მოუგონია,
 მდელირზე სუფრა გაუშლია და
 თავს დასდგომია კარვად ღრუბელი.
 საოცარ ზღაპრებს ყვება აპრილი,
 ჩუმად ღიღინებს მდელი და ველი....
 არ მიატოვო ნაღდი ადგილი,
 ნისიას ეძებს მხოლოდ სულელი.
 ღვინით ალივს თასი გულისა,
 სანამ საწუთრო მთლად გაგულისდა
 და გადაზილა მტრების გულისად
 ჩვენი მტრისაგან თიხის ქურჭელი.
 შენ თუ ურწმუნომ მოგცა სანთელი,
 არ დაეცემა შენს გზას ნათელი...
 სად გაგონილა, რომ იყოს მტერი
 ან უანგარო ან უმურველი?!
 ნუ მკითხავთ — „ღვინოს შენ რატომ სვამო?!“
 და ნუ გამკიცხავთ სიმთვრალის გამო,
 ეს ბედისწერის განჩინებაა,
 შეუცნობელი და უკურნელი.
 ფეხის გადადგმა ნუ გენანება,
ჰაფეზის კუბოს მიჰყევ ბოლომდე...
 ის სამოთხისკენ მიექანება,
 თუმცა ცოდვის ზღვა იყო უღვევი.

თარგმან ალექსანდრე ელირდაშვილმა



საადი შირაზელი

ასჯერ ვუთხარი შენს ფარემებს, გულს რაც ენება,
 არ მოისურვოს ვინმემ შენთვის სარკის ჩვენება,
 ვაჰთუ, საკუთარ ელვარე ღანვს მოჰკრა თვალი და
 შენს თვალში ფასი დაეკარგოს სხვათა მშვენებას.

ამალამ, როცა სატრფოს მოსვლა გადუნყვეტია,
 მტერსაც დავეჯახნი, მოვემეები გან-გან ხეტიალს,
 დაე, სანთელი ჩაიწვას და მინავლდეს მთვარე,
 ის ღამე, როცა ჩემს გვერდით ხარ, დღეზე მეტია.

ღამით თუ მოხვალ, დღე იქნება ჩემთვის მთლიანად,
 დღისით თუ მოხვალ, — ნოურუზი სხივებკრიალა,
 „გუშინ“ ნავეიდა, ნუ იქნები „ხვალის“ იმედად,
 „დღეს“ აქვს ცხოვრებას რაღაც აზრი, მერე კი არა.

ფრაგმენტები „ბუსთანიდან“

ნიგნის შეთხზვის მიზეზი (სანყისი ბეითები)

უცხო მინაზე წინაუკმოდ ვიარე ნლობით,
 ვის არ მნახველმა, რის არ შემსწრემ, გამჩენის ხმობით.
 ყველა კუთხეში ღვინა ვპოვე, ანთუ წყალობა,
 თითო თავთავი წამოვიღე ყველა კალოდან.
 მაგრამ შირაზზე ტკბილი მხარე ვერ ვპოვე ვერსად,
 დაე, მის მინას არ მოაკლდეს წყალობა ზესთა.
 მე ჩემი ხალხის სიყვარულმა შემასხა ფრთები,
 შამის და რუმის ამბები რომ მომეთხოვო გზებით.
 მაგრამ ბაღ-ბუსთან შემოვლილი, ღმერთო მაღალო,
 უძღვნოდ მოვდივარ მეგობრებთან, უარმალანოდ.
 გულში ვთქვი: ყანდი მისრეთიდან მოაქვთ იმისთვის,
 მოყვასს მიუძღვნან, სანამ ხსოვნას შერჩა გვირისტი.
 ყანდი არ მომაქვს, როდი მახლავს მისხალი დარდიც,
 მომაქვს სიტყვები, ტკბილი, ვიდრე ათასი ყანდი.
 ის ყანდი არა, სიტკბოსთვის რომ გაკვნიტენ უცებ,
 არსთა საუფლო დავაუწვჯე ფურცელ და ფურცელ.

მეოთხე კარიდან

ღმერთმა მინისგან გამოგქერნა, ნურაფერს ჩემობ,
 მამ გმართებს, მონავ, მინასავით განერთხა ქვემოთ.
 არ ხამს სიხარბე, ქედმაღლობა, ქიშპი და ცილი,
 ნუ გაცეცხლები ნურასოდეს მინისგან ქმნილი.
 ცეცხლს რომ ურჩობის ერეოდა ჟინი ძალუმი,
 თავს იმდაბლებდა მინა ამ დროს, მინყივ კრძალული.
 ერთი აზვავდა, მეორე კი დამდაბლდა ასნილი,
 ცეცხლისგან დევი შეიქმნა და მინისგან — კაცი.

წყლის ერთი წვეთი ღრუბლებიდან ეპკურა მინას
 და შერცხვა, ფართოდ გაშლილი ზღვა რომ ნახა იმ წამს.
 — რა თვალუპყრობი ზღვა ყოფილა, —
 თავს უწყო კილვა, —

მე, უბადრუკი, მის წინაშე არაფრად ვლირვარ.
 რადგან საკუთარ თავს სიმდაბლით მიაპყრო მზერა,
 სადაფში მოხვდა და ძვირფას თვლად აქცია ზენამ.
 ზეცამ მოწყალედ მოჰხვდა და ამშვენებს იგი,
 როგორც ობოლი მარგალიტი ხელმწიფის გვირგვინს.
 ამალდა, რადგან არც უცდია მორჩილს ზვაობა,
 არარაობა შეიცნო და იქცა რაობად.
 თავმდაბალია, ვისაც შერჩა ჭკუა სამყოფი,
 დაბლა იხრება დახუნძლული ტოტი ნაყოფით.

მეცხრე კარიდან

სამოცდაათი გაილია, გამოგდეს სარმა,
 ნუთუ, გეძინა? ფოთოლ-ფოთოლ წაასხა ქარმა.
 დარჩენა გასურდა, ამ სოფლისთვის თვალებს ნაბავდი,
 არც კი აგიკრავს საიმქვეყნოდ გულ-ნაბადი.
 როცა მიწყდება განკითხვის დღეს ბოლო ვედრება,
 იქ, სამყოფელი შენივ საქმით გენილხვედრება.
 მიიღებ იმას, რასაც შენი ქონება ყოფნის,
 თუ ლატაკი ხარ, ციმციმ სიმწრის დაგასხამს ოფლი.
 ბაზარს რაც მეტად ემატება შნო და ხალისი,
 მით უფრო ხდება უპოვარი შესაბრალისი.
 თუ ორმოცდაათს მოაკლდება ხუთი ღირემი,
 ალბათ, ჭკუიდან გადაცდები, გადაირევი.
 ორმოცდაათი მიიწურა შვებით თუ ხვნივით,
 ხუთი დღით მაინც ისარგებლე, რაც შეგჩრა ხელში.
 მკვდარს რომ შეეძლოს საუბარი და დაძვრა ენის,
 ივალაღებდა სვედავისლი, ვაების მწენი.
 სულდგმულო, სანამ ძალი შეგნევეს ამ ქვეყნად დარჩე,
 ნუ დადუმდები, როგორც მკვდარი, მაღლობდე გამჩენს!
 უდარდელობით გაილია რახან საწუთრო,
 ეცადე, ორი წამი მაინც დაისაკუთრო.

ბაბა თაჰერი

ეს გული ტრფობამ გამიხვლა უშქარი ჭირით,
 წამნამებიდან სისხლის ცრემლი მოწვეთავს ხშირი,
 მიჯნურის გული, ალბათ, სველი შეშის მსგავსია,
 თავში სახმილი უნთია და ბოლოთი ტირის.

სულში სევდის ხეს ღრმად გაუდგამს ფესვი წყლიანი,
 ღვინის კართან ვგოდებ, ჯერ არ იყოს იქნებ გვიანი,
 ჰე, ძვირფასებო! ერთმანეთის ყადრი იცოდეთ,
 სიკვდილი ქვაა, ხოლო მინა — ადამიანი.

თარგმან ბიორკი ხულორდავაბ

მწერალი

გვანცა ჯობავა

გვანცა ჯობავამ 2007 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტი საგამომცემლო-სარედაქციო საქმის სპეციალობით დაამთავრა, ორი წლის შემდეგ კი განათლების მართვასა და ადმინისტრირებაში მაგისტრის ხარისხი მიიღო. სხვადასხვა დროს მუშაობდა გამომცემლობა „ელფის“ რედაქტორად, მარკეტინგისა და კვლევის ინსტიტუტის რედაქტორად, ხელმძღვანელობდა საგანმანათლებლო ცენტრს. დღეს გამომცემლობა „ინტელექტმა“ და „არტანუჯის“ საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი, საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის თავმჯდომარე და გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის აღმასრულებელი ბორდის წევრია.

რაც შეეხება შემოქმედებით ბიოგრაფიას, პოეზიით დაიწყო. მისი პირველი ლექსები 2008 წელს ჟურნალ „ლიტერატურულ პალიტრაში“ დაიბეჭდა, პირველი პოეტური კრებული კი, „კარდიოგრამა“, 2012-ში „ინტელექტმა“ გამოსცა, მალევე გამოვიდა სადებიუტო დოკუმენტური რომანი Check-In. გვანცა ორი საბავშვო წიგნის, „5 ბავშვი — 5 თბილისისა“ და „კოლოფის“ ავტორიც არის.

მკითხველი არა მხოლოდ მის ორიგინალურ ნაწარმოებებს, არამედ თარგმანებსაც კარგად იცნობს. პირველად, 2012-ში, სოლ ბელოუს „მისტერ სამლერის პლანეტა“ თარგმნა, შემდეგ ჯონ ლენონის ავტობიოგრაფიული წიგნით „როგორც მენერება“ ათასობით ქართველი ბიტლმანის გული მოიგო; ამას მოჰყვა ანა პოლიტკოვსკაიას „პუტინის რუსეთი“, ჯონ სტაინბექის „თავგებულება და ადამიანებზე“; სულ ბოლოს კი ინგლისურენოვანი ნიგერელი ავტორის ჩინუა აჩებე ცნობილი რომანი „ყველაფერი ნაცარტუტად იქცევა ბოლოს“ გადმოაქართულა.

— ბოლო თარგმანით, ჩინუა აჩებეს რომანით დაიწყოთ. „ყველაფერი ნაცარტუტად იქცევა ბოლოს“ შარშან გამოსცა „ინტელექტმა“ და წიგნი უკვე მკითხველის დიდი ინტერესით სარგებლობს. ბოლოს რომ შეეხვდით, სტაინბექის ცნობილ რომან „თავგებულება და ადამიანებზე“ მუშაობდით. მგონი, სტაინბექის მერე სწორედ ეს თარგმნით. ხომ არ ცვლდები?

— დიას, ასეა და მართალი გითხრათ, შარშან რომ წიგნის თარგმნა მოვახერხე, ძალიან მივირს. წიგნის გამოცემა ქართული წიგნის ეროვნულმა ცენტრმა დააფინანსა; დრო განსაზღვრული მქონდა, თარგმნა 2018-ის 15 დეკემბრამდე უნდა დამესრულებინა. როგორც იცით, გასული წელი ძალიან დატვირთული იყო ჩვენთვის, საგამომცემლო თუ ლიტერატურული სფეროს წარმომადგენლებისთვის. ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობიდან ოქტომბერში დავბრუნდით, ნოემბრის პირველ რიცხვებში კი არაბეთში, ასევე წიგნის ბაზრობაზე გავეზღვა ვაჭრე. მართალია, მანამდე, ფრანკფურტის პროექტისთვის მზადების ურთულეს პერიოდში, თარგმანზე ცოტ-ცოტას მაინც ვმუშაობდი, მაგრამ არაბეთიდან დაბრუნების შემდეგ გამომცემლობის მთავარმა რედაქტორმა, ზვიად კვარაცხელიამ შემომთავაზა ბათუმში წასვლა, სადაც ყოველდღიური მოვალეობებისგან შედარებით თავისუფალი მშვიდად მივიყვანდი საქმეს ბოლომდე. სწორედ იქ დავაასრულე რომანის თარგმნა.

— და როგორც ვიცით, ძალიან შთამბეჭდავი პრეზენტაციაც გამართეთ.

— ჩინუა აჩებე ნიგერელი მწერალია, მსოფლიოში აღიარებული გენიალური ავტორი, რომელიც 2013 წელს გარდაიცვალა. „ყველაფერი ნაცარტუტად იქცევა ბოლოს“ კი ერთ-ერთ ცენტრალურ ნაწარმოებზეა და მიჩნეულია აფრიკულ ლიტერატურაში. თარგმანი გამოიცა უკვე ცნობილი სერიით „აკრძალული წიგნების თარო“, რადგან მალაიზიასა და ნიგერიაში გარკვეული ხნით წიგნი აკრძალული გახლდათ. პრეზენტაცია კი მართლაც საინტერესო გამოვიდა. თბილისში ბევრი ნიგერელი ცხოვრობს, მათთან ერთად აღვნივინეთ წიგნის გამოსვლა. წარდგენა ნიგერიულ ეკლესიაში გაიმართა, პასტორი და მათი მეფეც კი დაესწრო.

— საინტერესოა...

— საქართველოში მცხოვრებ ნიგერიელებს თავიანთი მეფე ჰყავთ. იგი მონარქივით შემოსილი მოვიდა. ეკლესიის მოღვაწეებმა გუნდმა სადიდებელი ჰიმნები შეასრულა. მეც წარდგინებისთვის თმა ნიგერიულ ყაიდაზე დამავრცხენეს, ნიგერიული კაბა შემიკერეს. ამ ხალხისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო აჩებეს წიგნის ქართულ ენაზე გამოსვლა, ჩემთვის კი — მათი სტუმრობა და მონაწილეობა პრეზენტაციაზე. ლიტერატურას ხომ საკმაოდ ფართო დატვირთვა და მისია აქვს, კულტურებს აახლოებს, ქმნის მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძველს, უამრავი მნიშვნელოვანი საქმე შეიძლება ნამოგანიყვებინოს. მეც სწორედ ლიტერატურას ვეყრდნობოდი, როცა წიგნის წარდგენა ამ ფორმით გადავწყვიტე. პრეზენტაცია დავეუკავშირე ფერადკანაინების ცხოვრებას საქართველოში, ჩვენს დამოკიდებულებას მათდამი და პირიქით. ერთგვარად, იმ საღამომ საშუა-

„ამ ბედისწერას მიჰყვები“

ალეხა მოგვცა, ერთმანეთი უკეთ გაგვეცნო და მეგობრობის ხელი გაგვეწოდებინა, რატომაც არა, ისინი ხომ ჩვენი თანამოქალაქეები არიან.

— ეკლესიაში პრეზენტაციის გამართვაც ძალიან სიმბოლური იყო.

— დიას, ასეა. რომანში შეულამაზებლად აღწერილი ნიგერიული ტომის ცხოვრება მე-19 საუკუნის მიწურულს, კოლონიზაციამდე, და მას შემდეგ, რაც პირველმა ევროპელებმა ამ მხარეში დადგეს ფეხი. წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა წარმართულ რწმენა-წარმოდგენებს, აფრიკულ კულტურას, ტრადიციებს, მითებსა და ლეგენდებს. ოღონდ, სრულიად დაცლილია როგორც კოლონიამდელი ეპოქის, ისე კოლონიზაციის გადარღვევისგან. ავტორი პირუთვნელად ყველა თავისი ხალხის ისტორიას, საინტერესოდ აღწერს შეხლასა და ჭიდილს ორ სრულიად განსხვავებულ კულტურას, მენტალიტეტს — წარმართულ და ქრისტიანულ სამყაროებს შორის. ადგილობრივებისთვის ქრისტიანობა უცხო, ახალი სწავლება გახლდათ, მოვიდნენ თეთრი ადამიანები და მათი მოქცევა განიზრახეს. დღეს ნიგერია ქრისტიანული ქვეყანაა, მაგრამ ძირეული ცვლილებების პერიოდში ძალიან მტკივნეული გზა გაიარა. წიგნში, პერსონაჟების ქცევიდან გამომდინარე, იგრძნობა, რომ თითქმის ყველამ იცოდა, წარმართობაში ჭეშმარიტება არ იყო, თუმცა ეძნელებოდათ უარის თქმა წინაპართაგან დანატოვარ რელიგიაზე, ტრადიციებსა და რწმენა-წარმოდგენებზე. ეს ჩვევა იმდენად ღრმად იყო გამჯდარი მათში, რომ ხშირად საკუთარ თავთან პირისპირ დარჩენილებიც კი არ უტყდებოდნენ საკუთარ თავს სიმართლეში. არ აძლევდნენ თავს უფლებას ახალი სწავლება მიეღოთ. თითქოს ნაცნობი სურათი თანამედროვე სამყაროსთვისაც, არა? მერე ქრისტიანული ეკლესიის შენება დაიწყო და ნელ-ნელა ადამიანები მიხვდნენ, სად იყო სიმართლე, პროგრესი, გაიზარეს განათლების მნიშვნელობა, დანიშნულბა. მოისურვეს, შეიღებინათ უკეთესი მომავალი შექმნათ. თუმცა ცხადია, ისევე როგორც არსად მსოფლიოში, ნიგერიაშიც უმტკივნეულოდ არ მომხდარა რწმენის შეცვლა, ამ პროცესს დიდი ეჭვები და გაორება სდევდა თან.

წიგნის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, სახელგანთქმული გმირი, იბოს ტომის წარჩინებული, ძღვეამოსილი და უშიშარი მებრძოლი ოკონკვა. ავტორი სწორედ მისი

ოჯახური ცხოვრების კვალდაკვალ გვიყვება ნიგერიის გაქრისტიანების ამბავს. ეს კაცი, რომელსაც განცდებით, გნებებით, მისწრაფებებით, იმედგაცრუებით სავსე, მშფოთვარე, ქარიშხლიანი ცხოვრება აქვს, ბოლომდე საკუთარი რწმენის ერთგული დარჩება, სიახლეს არ მიიღებს და, შეიძლება ითქვას, ახალი დროების მსხვერპლად იქცევა — პროგრესის მომხრე მეგობრები და ახლობლები იმედს გაუცრუებენ. ის ბოლომდე იბრძვის იბოს ტომის ტრადიციების გაუფასურების წინააღმდეგ, მათ შორის გაორებულ თანატომელთა წინააღმდეგაც. თუმცა მარტო აღმოჩნდება, თავისიანები-სგან გაუცხოვდება და სასოწარკვეთილებას მიეცემა. საოცარი ფინალი აქვს ამ წიგნს, რომლის საიდუმლოს ახლა არ გავხსნი და მკითხველს მისი ნაკითხვის სიამოვნებას დავეტოვებ.

„ყველაფერი ნაცარტუტად იქცევა ბოლოს“ დღემდე აუცილებელ სასწავლო ტექსტადაა მიჩნეული როგორც აფრიკის, ისე ინგლისურენოვანი ქვეყნების სკოლებსა და

კიდეც ფესვადგმულ ერთგვარ რომანტიკულ განწყობასთან დასაპირისპირობლად აუცილებელიც კი იყო ამ წიგნის ქართულ ენაზე გამოქვეყნება.


რა შეუძლია მწერალს, მთარმნელს? ისევე და ისევე ლიტერატურის ერთგვარად მთავარი სათქმელი, ხომ? რა თქმა უნდა, ზემოთ რომ ვახსენე, იმ წიგნებს ავტორები ჰყავს, მაგრამ მეც ერთგვარად ქართულ ენაზე თარგმნილი მათი ნაწარმოებების თანაავტორად ვგრძნობ თავს და როგორც მწერალი შეხედავდა, რა გავლენა შეიძლება მოხდინა მის ტექსტს საზოგადოებაზე, რამდენად მნიშვნელოვანი შეიძლება ყოფილიყო მისი სიტყვა და რა ძალა ჰქონდა მის ნათქვამს, დაახლოებით ასე ვუყურებ ნაწარმოებს, რომელსაც ვთარგმნი. მინდა, ჩემ მიერ თარგმნილმა წიგნმა მნიშვნელოვანზე დააფიქროს მკითხველი, ღირებულებები გაუმყაროს, რაღაცები გადააფასებინოს. აქედან გამომდინარე, ყველა თარგმანს სიმბოლური დატვირთვა აქვს ჩემთვის და ძალიან მიხარია, რომ ამ წიგნებს ინტერესით კითხულობენ.



— ლექსებს ისევე წერთ? დიდი ხანია, როგორც პოეტი არსად დაბეჭდილობართ, თუმცა თქვენს კრებულს, 2012-ში რომ გამოეცით, დიდი ინტერესი მოჰყვა.

— დიდი ხანია, არაფერი გამომიქვეყნებია, თუმცა არასდროს ვამბობ, აღარ ვწერ-მეთქი. უბრალოდ, პოეზიას ვერ დაგეგმავ, ეს იმდენად შემოქმედებითი პროცესია, რომ მჭირდება თავისუფალი დრო და ადგილი გონებაში, რომ ისე დავწერო, ოდნავ მაინც კმაყოფილი დავრჩე და მომიხდეს, ჩემი ლექსი მკითხველსაც გავაცნო. ბოლო რამდენიმე წელია, ძალიან იშვიათად ვპოულობ ამ თავისუფალ სივრცეს გონებაში, თუმცა ამ ყველაფერს არ ვუყურებ ტრაგიკულად. მიმაჩნია, რომ ახლა მაქვს პერიოდი, როცა ბევრ ცოდნას, ემოციას, ურთიერთობებით მიღებულ შთაბეჭდილებებს, ცხოვრებისეულ გამოცდილებას ვაგროვებ და აუცილებლად მოვა დრო, როცა ამ წლების მანძილზე დაგროვილი, ფურცლებზე გადავა. ჩემი პირველი კრებულის „კარდიოგრამას“ გამოსვლის შემდეგ, ძალიან აქტიურად ვბეჭდავდი ლექსებს პერიოდულ გამოცემებში, ახლა, როგორც უკვე გითხარით — ვეღარ. თუმცა მგონია, რომ — „აღარ ვწერ“ — ასეთი რამ არ არსებობს. უბრალოდ, ჯერ სხვა საქმეს ვჭირდება. სანახევროდ კი არც ერთი საქმის კეთება არ მიყვარს. ალბათ მაშინ მივუბრუნდები წერას, როცა შემიძლება, რომ ამ საქმეშიც იმხელა ენერჯია ჩავდო, რამდენსაც ჩემგან მოითხოვს.

— ძალიან პოპულარული პროექტია „აკრძალული წიგნების თარო“. უკვე კარგა ხანია გრძელდება და სულ უფრო საინტერესო ლიტერატურას სთავაზობს მკითხველს. როგორ გაჩნდა სერიის იდეა?

— ხშირად ვადევნებ თვალს უცხოურ ლიტერატურულ საიტებს, რეიტინგებს. ერთ-ერთ ინტერნეტსაიტზე გადავანხივე ინფორმაციას, რომ არსებობს „აკრძალული წიგნების კვირეული“, რომელიც ამერიკის ბიბლიოთეკართა ასოციაციამ დააარსა. აღმოჩნდა, რომ ძალზე შთაბეჭდავია იმ წიგნების სია, რომელიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა მიზეზით — რელიგიური, სოციალური, სოციალური და სხვა ნიშნით — შემოღობულნი იყვნენ. იმ წიგნებმა საზოგადოებების ცხოვრებაში, აზროვნებაში, ბევრი რამ შეცვალა. მსოფლიოს ყველა კუთხიდან თავმოყრილი ასე-





თი ტიპის ლიტერატურა ძალიან საინტერესოდ გამოიყურებოდა. სწორედ აქედან წამოვიდა სერიის იდეა. „აკრძალული ნიგნებების თარო“ ჩემთვის მართლაც მნიშვნელოვანი პროექტია, დაახლოებით ორი წელიწადი წამოვიწყეთ და უკვე 11 ნიგნი გამოვეცით. თავიდანვე მიზნად დავისახეთ, შეგვეჩინა მაღალი მხატვრული ღირებულების ტექსტები და მოგვეწვია საუკეთესო მთარგმნელები. მრავალფეროვანია სერიის თემატიკა — ქალთა უფლებები, რასიზმი, სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება — ანუ ყველა ის საკითხი, რაც მუდმივად აქტუალურია საზოგადოებაში და რაზე მსჯელობაც არასდროს მთავრდება. ლიტერატურა კი, ცხადია, აქვს ძალა, რაღაცები შეცვალოს ჩვენს ცხოვრებაში, დაგვაფიქროს და, ერთგვარად, როგორც სარკეში, ისე დაგვანახოს საკუთარი თავი. ამიტომ არ მიკვირს, რომ სერიის მიმართ ინტერესი არ ნელდება.

ჩემთვის მნიშვნელოვანი კიდევ ის არის, რომ „აკრძალული ნიგნების თარო“ რაღაცნაირად დამაკავშირა მოზარდებთან — ცოტა ხნის წინ „კანტის აკადემიაში“ დავინყე სალექციო კურსი „თავისუფალი სიტყვა აკრძალულ ნიგნებში და გამოცემის თავისუფლება“. ჩემი აუდიტორია 13-დან 16 წლამდე ასაკის მოზარდებია. ვფიქრობ, ლიტერატურა და ჩვენი საზოგადოება ძალზე წაადგება მათ ცხოვრების გზაზე, დაეხმარება თავისუფალი იყენენ არჩევანში, დაბრკოლებები ადვილად გადალახონ, თამამად დაიცვან საკუთარი პოზიცია, არ გახდნენ მჩაგვრელები და არც დაჩაგრონ. ლიტერატურა ადამიანებს აძლევს შანსს, გახდნენ უკეთესები. სწორედ ამას ვეუბნები ბავშვებს: რატომ ვკითხულობთ ნიგნებს? პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ მეტად ვიყოთ მზად ცხოვრებისთვის. გამომცემლის ამბიციაც, შეიძლება ითქვას, ეს არის — მხოლოდ ნიგნის გამოცემა და გაყიდვა კი არა, იმ რანგის ლიტერატურის შერჩევა, რომელსაც გავლენის ძალა აქვს.

— „ინტელექტის“ შედარებით ახალი სერია „გაკვეთილების შემდეგ საკითხავი“ არანაკლებ წარმატებული პროექტია. ჯერ მხოლოდ ორი ნიგნი გამოიცა ამ სერიით, და ორივე მკითხველის დიდი ინტერესი გამოიწვია. რა ნიგნებია?

— ერთ-ერთი, „შენს წერილებს ლეიბის ქვეშ ვინახავ“, ასტრიდ ლინდგრენის მიმონერაა სარა შვარტთან. საოცარია, ასტრიდის ნიგნებზე გავიზარდე, მისი თითქმის ყველაფერი ნაკითხული და გამოცემულია, ამ მიმოწერის შესახებ კი არაფერი ვიცი — შევედეთი, გოტებორგის ნიგნის ბაზრობაზე გადავანყედი. ცნობილი ამბავია, რომ ასტრიდი მთელი მსოფლიოს ბავშვებისგან იღებდა წერილებს და შეძლებისდაგვარად, ყველას პასუხობდა, თუმცა მეტნაკლებად ფორმალური პასუხებით შემოიფარგლებოდა ხოლმე. სარა შვარტი, 11 წლის გოგონა, განსაკუთრებული შემთხვევა აღმოჩნდა. მათი მიმონერა 31 წელი გაგრძელდა, 1971-დან 2002-მდე, სულ 80 წერილი გაცვალეს. მიმონერა ლინდგრენის ბიბლიოთეკარმა ლენა ტორნეკვისტმა მწერილის არქივში შეკრიბა და გამოცა. სარა თინეიჯერია, ასაკის შესაბამისი პრობლემებით — სიგარეტი, აგრესიულობა, თანატოლებთან და მშობლებთან დაძაბული ურთიერთობა. იზრდება და პრობლემებიც ემატება. ასტრიდი მას არასოდეს საყვედურობს. ყოველთვის დიდი სიფრთხილით

ესაუბრება, ყოველგვარი დატუქსვის, დიდაქტიკისა და მორალის კითხვის გარეშე აძლევს რჩევებს, უზიარებს დამოკიდებულ მსტერკლასი უფროსებისთვის; მაგალითია, თუ როგორ უნდა ესაუბროდეს მოზარდს ზრდასრული ადამიანი. საოცარი ნიგნია და ალბათ ამიტომ შეიყვარა ყველა ასაკის მკითხველმა.

— მკითხველი არ აკლია ამ სერიით გამოცემულ მეორე ნიგნსაც.

— მეორე კი დებიუტანტი ქართველი ავტორის, თამარ გეგეშიძის რომანია, „სული-ჩიტი“. საქართველოში ინტენსიურად გამოიციმა თინეიჯერული ლიტერატურა, მსოფლიო ბესტსელერები, მაგრამ ქართველი მწერლები ნაკლებად მუშაობენ ამ უნარში. თამარ გეგეშიძემ, გამორჩეულმა მასწავლებელმა, წარმატებით გაართვა თავი რომანს და შესანიშნავი საკითხავი შესთავაზა ბავშვებს, მშობლებსა და პედაგოგებს. ნიგნი მოქმედება მთავარი პერსონაჟის, 11 წლის ლუკას გარშემო ვითარდება და მკითხველის თვალწინ ძალიან ნაცნობი გარემო ცოცხლდება — სკოლა, მოზარდები, მათი პრობლემები, რთული ურთიერთობა ერთმანეთთან, მასწავლებლებთან, ოჯახთან. ეს თემები ყოველთვის აქტუალურია ჩვენში, თინეიჯერი მუდამ დგას გარკვეული პრობლემის წინაშე და როცა შესაძლებელია მხატვრულ ნაწარმოებში მოიძიოს პასუხები მტკივნეულ კითხვებზე, ცხადია, ინტერესით ნაკითხავს მას. ამ მხრივ თამარ გეგეშიძემ შეძლო მკითხველის დაინტერესება. და ჩვენც სერიის გაგრძელებას არანაკლებ კარგი ნაწარმოებებით ვაპირებთ. ამჟამად მზად გვაქვს გამოსაცემად გია ბერაძის მიერ თარგმნილი მსოფლიო ბესტსელერი, შერმან ალექსის „ნახევრად ინდიელის აბსოლუტურად გულწრფელი დღიური“.

— გამომცემლობისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტი ალბათ არის მარიო ვარგას ლიოსას სტუმრობა საქართველოში. „ინტელექტი“ წლებია მუშაობდა ამაზე და მიხარია, რომ თქვენი მონაღინება წარმატებით დასრულდა, ახლა ყველა მოუთმენლად ველოდებით მის ჩამოსვლას.

— პროექტს რამდენიმე პარტნიორი ორგანიზაცია ახორციელებს. მათ შორის ქართული ნიგნის ეროვნული ცენტრი კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, გამომცემლობა „ინტელექტი“ და „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“. როგორც იცით, წლების განმავლობაში გამომცემლობა „ინტელექტი“ ლიოსას რომანებს თარგმნის და გამოსცემს. ლიოსას შემოქმედებაზე, ძირითადად, ლანა კალანდია მუშაობს, მაკა გოგოლაშვილმა კი მწერლის ბლოგ რომანი „ხუთი კოთხე“ თარგმნა. მას შემდეგ, რაც „ცუდი გოგოს ოინები“ გამოვეცი, არ დაგვიკლია მცდელობა, პერუელი ნობელიანტი საქართველოში ჩამოსვლაზე დაგვეთანხმებინა — მე აგენტებთან მქონდა მიმონერა, ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობაზე არაერთხელ პირადად შევხვედი და ვესაუბრე მათ, თავის მხრივ, ლანა კალანდიამ იმუშავა აქტიურად. ის ბარსელონაში ცხოვრობს და არაერთი მცდელობის შემდეგ, შარშან მაისში მოახერხა ლიოსასთან შეხვედრა, გადასცა საჩუქრად „ვაცის ნადიმი“ ქართული გამოცემა და პირადად დაპატიჟა საქართველოში. ლანა წლების განმავლობაში ინტენსი-

ურად აწვდიდა მწერალს ინფორმაციას ახალი თარგმანების შესახებ, თარგმნიდა და უგზავნიდა გამომხატველებს, რეცენზიებს, სატელევიზიო გადაცემების ბმულებს — ამ გზავნილებით ცდილობდა, ეჩვენებინა ავტორისთვის, რომ საქართველოში მის რომანებს კითხულობენ და რომ ეს ავტორი, ერთგვარად, ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების ნაწილია. რა თქმა უნდა, ასეთი დონის მწერალი არ ჩავა იმ ქვეყანაში, სადაც მის შემოქმედებას კარგად არ იცნობენ, სადაც ცოტა მკითხველი ჰყავს. ასე რომ, ლანა კალანდიამ ამ მხრივაც მნიშვნელოვანი სამუშაო გასწია. პარალელურად, 2018-ის მიწურულს, ქართული ნიგნის ეროვნულ ცენტრს, სერვანტის ფონდის დახმარებით, მოლაპარაკება დაუწყო მწერალთან. წელს იანვარში ლიოსა ოფიციალურ დონეზე მოინვიეს და იანვარშივე მოვიდა პასუხი — ნობელიანტი თბილისში შექმნილ ენვევა. ეს დიდი სიხარული და გამომწვევაა თითოეული ჩვენგანისთვის, წინ დიდი სამუშაო გველის — თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე დიდ მწერალს უნდა ვუმასპინძლოთ.

— „ნიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია“ რა გამოწვევების წინაშეა?

— ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი, რაც ასოციაციამ წარმატებით მიიყვანა ბოლომდე, ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობა იყო, სადაც საქართველო საპატიო სტუმრის სტატუსით წარდგა. პროექტში ასოციაციას მნიშვნელოვანი ფუნქცია ჰქონდა — საქართველოს, როგორც საპატიო სტუმარი ქვეყნის საგამომცემლო პროგრამა სწორედ ჩვენი გუნდის მიერ იყო ორგანიზებული. პროგრამა მოიცავდა სამ ეროვნულ სტენდსა და საპატიო სტუმრის პავილიონის მცირე სცენას. ეროვნული სტენდი ბაზრობის ეპიცენტრი გახლდათ — ნიგნების საგამოფენო და ბიზნესშეხვედრების ადგილი ორმოცამდე ქართული გამომცემლობისთვის. სცენაზე კი ლიტერატურული ღონისძიებები, მწერლებთან და მთარგმნელებთან დაუვიწყარი შეხვედრები იმართებოდა. პარალელურად, არტისა და დიზაინის პავილიონში განთავსებული ქართული სტენდი თავისი სამი სივრცით დამთავლიერებულ სთავაზობდა ძალზე შთაბეჭდვარ პროგრამას ხელოვნების სფეროსა და ინოვაციურ ტექნოლოგიებში. ქართული საბავშვო ლიტერატურის სტენდი მთლიანად დაეთმო საბავშვო ნიგნებსა და ჩვენი არტისტების მიერ შესრულებულ ილუსტრაციებს, თუმცა 50-მდე საბავშვო გამომცემა სპეციალურ სივრცეში, ფრანკფურტის საბავშვო ფოიერშიც გამოიფინა. ყველა სცენამ სრული დატვირთვით იმუშავა, მნიშვნელოვანი ღონისძიებები, დაუვიწყარი შეხვედრები გაიმართა. სიტყვებით ალბათ ვერ გადმოვცემ, რა მასშტაბის შრომა გასწია პროექტის მენეჯმენტმა — ქართული ნიგნის ეროვნული ცენტრისა თუ ნიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის საორგანიზაციო ჯგუფებმა. ყველამ თავი გადადო იმისთვის, რომ ეს ისტორიული მანსი სრულად გამოგვეყენებინა. ჩვენთვის თითქოს ცხოვრების პროექტი იყო და ბედნიერები ვიყავით, რომ მასში მონაწილეობის საშუალება გვქონდა. მგონია, საქართველომ შეძლო და აჩვენა სწორედ ისეთი სახე, როგორც სინამდვილეში ყველას გვინდა, რომ იყოს ჩვენი ქვეყანა. ძალიან მიხარია, რომ შევძელით, ევროპისთვის საინტერესოები ვყოფილყავით. ცხადია, ამ მასშტაბის კულტურულ ღონისძიებებს ყოველთვის აქვს პოლიტიკური დატვირთვა, ამ მხრივაც წარმატებული იყო ფრანკფურტი — გერმანელი თუ სხვა ქვეყნის გამომცემლები, ბაზრობის სტუმარი პოლიტიკოსები მუდმივად აღნიშნავდნენ, რომ საქართველო აუცილებლად უნდა გახდეს ევროკავშირის წევრი ქვეყანა, რომ ჩვენს საერთო ღირებულებები გვაქვს. ამის ჩვენება გამომცემლებმა და მწერლებმა მოახერხეს, იმიტომ, რომ ერთი პროექტის ორგანიზება და სულ სხვაა, მწერლებისა და გამომცემლების წარდგომა ევროპის აუდიტორიის წინაშე. ჩვენებმა ყველას დაანახეს, თავისუფალი ადამიანების ქვეყანა ვართ. ისინი არ ჰგავდნენ ხიბლში მყოფ, საკუთარ თავზე შეყვარებულ ადამიანებს, მხოლოდ ხოტბას არ ასხამდნენ ქვეყანას, ყველა სცენიდან ძალიან ობიექტური და ხშირად კრიტიკული შეფასებე-

ბიც კი ისმოდა, ღიად საუბრობდნენ საზოგადოების მანკიერ მხარეებზე, პრობლემებზე, ადამიანის უფლებებზე, პოლიტიკაზე, თუმცა ამასთან სიამაყით წარმოაჩენდნენ კარგსაც, ჩვენი ქვეყნის დადებით მხარეებს. ამ სინთეზმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა იქაურ მსმენელზე. როდესაც პროექტის პოლიტიკურ დატვირთვაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა ვახსენოთ საქართველოს მთავარ პავილიონში ქართველი მწერლებისა და გამომცემლების მონაწილეობით გამართული აქცია-პერფორმანსი რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ — ჩვენ ყველამ სათანადოდ გამოიყენეთ მნიშვნელოვანი საერთაშორისო პლატფორმა და კიდევ ერთხელ შევახსენეთ საზოგადოებას, საქართველოს ტერიტორიების ოცი პროცენტი დღეს რუსეთს აქვს მიტაცებული.

— რას ელოდება ასოციაცია ფრანკფურტისგან? შორ პერსპექტივას და შედეგებს ვგულისხმობ.

— ფრანკფურტი არ არის ერთგვარადი პროექტი, ის არ დასრულებულა და გრძელვადიანი შედეგების მომტანია. დავინახეთ, რომ თურმე ამ სფეროს, ამ, ერთი შეხედვით, ვინრო საფეროს, დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია ქვეყნისთვის ყველა მიმართულებით, იქნება ეს პოლიტიკა, ეკონომიკა, ტურიზმი თუ სხვა. ფრანკფურტმა ახალი შესაძლებლობები მაშინვე გამოგვიჩინა: პარიზის ნიგნის ბაზრობის ხელმძღვანელებმა გამოთქვეს სურვილი, პარიზში საპატიო სტუმრის სტატუსით წარვადეთ. სახელმწიფო დონეზე ჩვენ უკვე განვაცხადეთ თანხმობა და მარტში, მას მერე, რაც საქართველოს სამთავრობო დელეგაცია საფრანგეთში ჩავა, ყველაფერი საბოლოოდ გადაწყდებდა. სავარაუდოდ, 2022-ში ვისარგებლებთ საპატიო სტუმრის სტატუსით. ცალსახაა, რომ ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობა, თავისი მასშტაბით, უდიდესი და უმნიშვნელოვანესია, ის დიდი პლატფორმა აღმოჩნდა ჩვენთვის და ახალი გამომწვევები შემოგვთავაზა — დღეს პარიზმა მიგვიწვია, ჯერ კიდევ წინ გვაქვს ინგლისურენოვანი ნიგნის ბაზარზე შედგენის საკმაოდ რთული, თუმცა ამასთანავე, უმნიშვნელოვანესი მისია. ახლა უნდა შევეცადოთ, მაქსიმალურად გამოვიყენოთ შანსი და რაც შეიძლება ბევრ ქვეყანას გავაცნოთ ჩვენი თავი, ჩვენი ლიტერატურა, რაც შეიძლება ბევრ ენაზე ითარგმნოს ქართული ნიგნები. არაერთი მაგალითი ვიცი, რომ მსოფლიოში ერთ წარმატებულ ნიგნს მთელი ქვეყანა გაუცვნიდა მსოფლიოსთვის. ლიტერატურას ნამდვილად შესწევს ამის ძალა. რატომაც არ უნდა გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობა და არ გადავდგათ დიდი ნაბიჯები წინ, ევროპისკენ.

— ვფიქრობ, ამ ნაბიჯებისთვის ერთ-ერთი საუკეთესო ასპარეზია გამომცემელთა მსოფლიო ასოციაცია, რომლის ბორდის წევრიც თქვენც ხართ.

— დიახ, ასეა და მეც, ცხადია, დიდი სიხარულითა და პასუხისმგებლობით შევხვდი ამ სიახლეს — შარშან ოქტომბერში, სწორედ ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობის მიმდინარეობისას, ამირჩიეს მსოფლიო ასოციაციის ბორდის წევრად. მართალია ჩვენი ასოციაცია 2007 წლიდან შეუერთდა მსოფლიო ასოციაციას წევრის სტატუსით, მაგრამ 15-კაციან მმართველობით ორგანოში, გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის 125 წლის არსებობის მანძილზე, არასდროს არც ერთი ქართველი გამომცემელი არ ყოფილა, და ამიტომ, ვფიქრობ, ეს დიდი შესაძლებლობაა ჩემთვის და ჩვენი ქვეყნისთვის; შესაძლებლობა მაქვს, მაღალ დონეზე გაუწიო ლობირება ქართული ნიგნის ბაზარს და ის გამოცდილება, რასაც მსოფლიო მასშტაბის პროფესიონალებთან მჭიდრო თანამშრომლობისას დავაგროვებ, ჩემს ქვეყანაში ქართული საგამომცემლო საქმის უფრო მეტად განვითარებისთვის გამოვიყენო. მარტში ლონდონის ნიგნის ბაზრობაზე მივემგზავრებით, სადაც ტრადიციულად წარვადგენთ საქართველოს ეროვნულ სტენდს და სწორედ იმ პერიოდშივე დაგვეცილი გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის ადმინისტრაციის კომიტეტის არაერთი ღონისძიება და აქტივობა, რომელშიც პირველად ვიქნები ჩართული სხვადასხვა კუთხით.



ლელა კოდალაშვილი ცხვრების მწყემსი ქალის, ჯეიკის ველური ავსტრალიური ისტორიები



მედიის სპეციალისტის სახელი ჩვენი მკითხველების უდიდეს ნაწილს ალბათ არაფერს ეუბნება და სწორედ ამიტომ ვასი-კო კეფერაძესავით მინდა, მივულოცო მას, რომ ამ მწერლის გაცნობის ბედნიერება ჯერ კიდევ წინ აქვს.

შენთვის სრულიად უცნობი ავტორის ნიგნის ნაკითხვის დაწყებამდე ყოველთვის ლელავ. ბოლოს კი თავი ხელში აგვავს და პირველ სტრიქონებს თვალს უსწორებ. ასეთ დროს ძალიან გინდა, რაღაც ახალ ჯადოქრობასთან გქონდეს საქმე, მაგრამ ეს იშვიათად ხდება — როგორც ნესი, მწერლების უმეტესობა არ მოგვწონს ხოლმე. ვფიქრობ, ინგლისელი მწერალი ქალი, ევი ვაილი, ამ მხრივ ბედნიერი გამონაკლისი აღმოჩნდება ქართველი მკითხველისთვის. ის ინგლისში ცხოვრობს და ოცდაათწლიანი წლისაა. ლონდონის განაპირას აქვს ნიგნების მალაზია — „რევიუ“. „ყველა ჩიტი გალობს“ მისი მეორე რომანია, რომელმაც სხვა რამდენიმე მნიშვნელოვან ჟილდოსთან ერთად ევროკავშირის პრემიაც მიიღო ლიტერატურის დარგში.

„ყველა ჩიტი გალობს“ ახალგაზრდა ქალის შესახებაა, რომელიც ინგლისიდან ავსტრალიაში გაიქცა და ცხვრების ფერმაში დაიწყო მუშაობა. სწორედ ავსტრალიური პეიზაჟების, ბატონებისა და მწყემსი კაცების საუნდრეკის ფონზე გვიყვება მწერალი ამ მთავარი პერსონაჟი ქალის — ჯეიკის — ახლანდელ თუ წარსულ ისტორიებს, მის თანაცხოვრებას ყველაფერ იმასთან, რაც დატოვა, რაც შეიძინა, რამაც ნაიარევი დაასვა სხეულსა თუ გულზე. ევი ვაილის ნიგნი ეგრეთ წოდებული რეალისტური რომანების სერიიდანაა, ალაგ-ალაგ საკმაოდ მძაფრი და მიძიმე სცენებით სავსე. ასეთ პროზაზე უყვართ ხოლმე თქმა — არაქალური ტექსტიაო. მე ასე ვიტყვოდი — აქაა მკვეთრი ხასიათები და თავისებური, გულგრილი ენა, ბევრი ამბავი და ცოტა აღწერა. რატომღაც ლიტერატორებს ხშირად ჰგონიათ, რომ ქალებს ასე წერა არ შეუძლიათ. ეს რომანი, მგონი, სწორედ ამ გავრცელებული აზრის გაბათილებაში დაეხმარება მათ.

ჯეიკის გაცნობასთან ერთად თქვენი შიში და ძრწოლაც თანდათან იზრდება. გაქვთ მოლოდინი, რომ რაღაც უნდა მოხდეს, რაღაც საშინელი, რაც ბედისწერის თემასავით გასდევს მთელ ტექსტს. საბოლოოდ კი ალბათ ესაა არა რომელიმე ცხოველი ან ადამიანი, არამედ სწორედ ბედისწერა. მარადიული შიში, რომელიც არ გვტოვებს, შიში სიკვდილის, შიში თავდასხმის, შიში დევნის, შიში წარსულის, რომელიც არ შორდება ჯეიკს. გამოუცნობი ნაიარევეები მის სხეულზე, მითი ზღაპრული ცხოველის შესახებ — ხორცმუხსხმელი რჩება რომანში ალბათ სწორედ იმიტომ, რომ ეს ყველაფერი უბრალოდ ცხოვრების სიავების მეტაფორაა, რომელიც თავს არ გვაფიქვებს და სამუდამო კვალს ტოვებს ჩვენს სხეულზეც კი. პერიოდულად გვზაფრავს, დანახვით კი არაფრისადიდებით არ გვეჩხვება: „ქარის ბრალი იყო? იქნებ უბრალოდ სიბნელეში ყველა ცხვარი ჩემკენ იმიტომ შემოტრიალდა, რომ მე დავეჩხვებო. იქნებ ზღვიდან რაღაც მოდიოდა, ჩემკენ ბილიკს მოუყვებოდა, მაგრამ არა. მხოლოდ და მხოლოდ ღამე იყო, რომელიც ათასჯერ მაინც მქონდა ნანახი...“

ეს პერსონაჟი არცერთ სხვა პერსონაჟს არ ჰგავს, რომელსაც აქამდე შევხვედრივართ. ის აბსოლუტურად სხვა ქალია, რომელსაც მწერალმა თითქოს ფუნქცია დააკისრა, რომ მამაკაცზე მეტი ძალა ჰქონდეს. სხვაგვარად გაისრისება. მან მამაკაცზე უნდა გაიმარჯვოს. მამაკაცზე, როგორც მოძალადეზე. მის გარშემო ხომ უმეტესად მოძალადე კაცები არიან. ის კი პრაქტიკულად მარტოქალია ყველგან.

ევის პროზაში შეიძლება ჰარუკი მურაკამის ტექსტები მოგაგონოთ. მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არაა მისი სტილის გამეორება. ევი უბრალოდ საუბრობს მძიმე თემებზე და არ აკეთებს ამ თემების რევიზიას, არა აქვს თვითრეფლექსიები, რომელსაც ხშირად მიმართავენ ხოლმე ქალი მწერლები. ის არ წუნუნებს, არ შემოგჩივის, არ გიმახვილებს ყურადღებას. უბრალოდ აღწერს, მოგითხრობს, და ეს ამბები იმდენად მიძიმეა, რომ დამატებით

განმარტებას აღარ საჭიროებს. თანამედროვე მწერლობა ვერ გულისხმობს ვრცელ აღწერებს. ეს სტილი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნემ და მე-20-ის დასაწყისამ ამოჭამა. თანამედროვე ადამიანის ცხოვრების რიტმიც დაქარბებულია. მისი თვალის ელვის უსწრაფესად აღიქვამს ქვეყნიერებას. მას ინტერნეტსამყარო აქვს და არ სჭირდება გარემოს თუ ამა თუ იმ ნივთის ვრცელი აღწერა.

არ მინდა, გამომჩრქეს ისიც, რომ მიუხედავად ეგრეთ წოდებული შავი რომანის ელემენტებისა, უბოდიშოდ რომ მიმართავს მწერალი, არცერთი წამით არ გინდებთ განცდა, რომ კიჩურ ტექსტს კითხულობთ. აქ არის მსხვილი პლანით ნაჩვენები ეროტიკული სცენები, აქ არის ანტიესთეტიკური სამყაროც, სულ მუდამ მძიმე სუნიტაზავებული შავი, მაგრამ ამ ჭუჭყსა და ცხვრის ცურვლებში, ამ მწვანე ბუზების ბზუილში და ვეებერთელა ობობების ჯოჯოხეთში, არცერთი წუთით არ ისვრება ჯეიკი. პირიქით, ასე უფრო ნათელია მისი ადამიანური ველი და მისი სამწყსოს კრავთა ბლავილიც უკეთესად ისმის, ასე უფრო სუნთქავს ტექსტი საიდანღაც მონაბერი სუფთა ჰაერით.

ამ ქალს მძიმე და საზარელი წარსული აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდაა და ამ წარსულსა გამოქცეული, რომ ახლა მოძალადე ანმეოს ხელში არ აღმოჩნდეს, რომელმაც ან კაცის, ან ცხოველის, ან ამინდისა და კლიმატის, ან, უბრალოდ, გაურკვეველი ბედისწერის სახე შეიძლება მიიღოს და ისე გამოეცხადოს.

მოქმედება, ძირითადად, ავსტრალიის ცხელ მზარეში, ქალაქარეთ განლაგებული ფერმების ტერიტორიაზეა, სადაც ცხვრების მოშენება-გაზრდის რთული პროცესი მიმდინარეობს. შესაბამისად, თხრობაც ავსტრალიიდან პერსონაჟის სამშობლომდე — ინგლისამდე — გადაჭიმული. ევი ვაილი ერთდროულად ჰყვება ახლანდელ და წარსულ ისტორიებს და ამ თხრობისას ნელ-ნელა მიდის უკან, ბოლოსკენ. ბავშვობისკენ, განმწმენდისკენ.

ნიგნი ხანდახან აგრესიულად ფემინისტურიც გეჩვენებათ; ისეთივე, როგორც მისი მთავარი გმირი ქალი. მაგრამ ჯეიკი ფემინისტი არაა. ის უბრალოდ ველურიცაა და ნატიფიც. უშიშარიც და მფრთხალიც. მასთან ერთად თქვენც აქეთ-იქით იყურებით, რომ რამე არ შეემთხვას, ვიღაც არ დაესხას თავს ან არ აედევნოს. ის მარტოველა მწყემსი ქალია, ცხვრების მწყემსი ქალი ჯეიკი, რომელიც შეერია ველურ ავსტრალიურ ისტორიებს.

არსად არცერთი სენტიმენტი არ ეპარება ავტორს. და სწორედ გრძობების გვერდის ავლით ახერხებს, იყოს მგრძობიარე. მის ფეხქვეშ ყოველნამს ბუნებაა. ხეები, ბალახი, ძაღლი, ცხვრები, ფრინველები. მას ყველაფერი ეს უყვარს, ამწნევს, გრძობს, მაგრამ არსად არ გვიჩუყებს გულს. არ ურევს შაქარს. არ ხდის ქალურად გრძობამოძალადეულს. ეგ კი არა, რაღაცნაირი პირქუში იუმორიც კი გაიფლავებს ალაგ-ალაგ.

უაილდს საკუთარი ხმაც ესმის და ესმის ჯეიკისაც. ის ერთიანდება თავის პერსონაჟთან. გაქვს განცდა, რომ ეს ყველაფერი, რაც აქაა მოთხრობილი, არის ფეიერვერკი, მაგრამ იმდენად შავი, რომ ერთი სული გაქვს, გააღწიო დღის სინათლეზე. ქვეყანა, სადაც მთავარი გმირი ცხოვრობს, ცხელი და მზიანია. და ამ სიცხესა და მზეში ყველაფერი ტალახისფერია და ყარს. ჯეიკი კი ცივი და მიუკარებელია. მან რთული ცხოვრება გაიარა. მთელი ნიგნის მანძილზე გგონია, რომ მისი სიცოცხლე კლდესავითაა, მაგრამ შეცდებით. ის ადამიანურობის განსახიერებაა. ძნელია, არ გაგიტაცოს თვითრეფლექსებმა, როცა ქალი

ხარ და ქალის პირით ჰყვები ამბავს, როცა გარშემო ამდენი კაცია, და ისინი სათითაოდ ძალაუბნებურად სხვადასხვაგვარად გაფიქრებენ. ძნელია, არ გადაზარდო ეს ყველაფერი მელოდრამის ჟანრში და არც ნაძალადევად მასკულიზური ქალი დახატო.

ცოტა არ იყოს, იმედს გიცრუებს ნიგნის ფინალი. რადგან ტრივიული ბედნიერებისა და ოპტიმიზმის ნათელი განცდა ამერიკულ Happy end-ს ამსგავსებს, მაგრამ ეს იმდენად შეუმწმენველია იმ საერთო განწყობაში, რომელსაც ნიგნი გიჩენთ, რომ ამ პატარა გადაცდომას პატიობთ მწერალს. ბოლოსდაბოლოს, მწერლის უფლებაა, იყოს ოპტიმისტი და ჰქონდეს იმედი, რომ ქალი და კაცი თანაცხოვრებას შეძლებენ. და მიუხედავად იმისა, რომ შიში, რომელიც ზემოთ ვახსენე, თან სდევს ნიგნის ყოველ სტრიქონს, ის მაინც სიყვარულზეა.

პლატონის აზრით, ტრაგედია და კომედია კვებავს და ასაზრდოებს ჩვენს ემოციებს. ზოგიერთი ლიტერატურა კათარსისულია და ზოგი კი პროპაგანდისტული. ევი ვაილი უმალ კათარსისულ ავტორად შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა კი, აუცილებლად იმ ნიშნით, რომ ის მკითხველთან ერთად ეძებს გამოსავალს. ერთის მხრივ ნიგნში აღმოჩენილი საკუთარი თავის ნაწილებით გამდიდრებული მისი პერსონაჟი სწორედ მკითხველში პოულობს საყრდენს.


ეს რომანი გამომცემლობა „აგორამ“ ევროკომისიის მხარდაჭერით გამოცა, ხოლო თამარ ხოსრუაშვილმა თარგმნა. არ შეიძლება, არ აღვნიშნოთ, რომ ინგლისურენოვანი მწერლის, ევი ვაილის ძალზე თავისებურ სინტაქსს, თითქოს ბალახებში და მატყლში ჩამოვლილ იუმორს, პერსონაჟის რთულ ხასიათს და კიდევ უამრავ უცნაურობას მთარგმნელმა საუკეთესოდ გაართვა თავი და ქართულ ენაზე წარმოგვიდგინა.

ძალიან საინტერესოა რომანის სტრუქტურა: ავტორი ჯეიკის პარალელურ რეალობას ჰყვება და უკან, ბავშვობისკენ მივყავართ. თან იმავდროულად იმ რეალობას ვეცნობით, რომელიც ამჟამად აქვს. ავტორს ასე მივყავართ მისი ტკივილებისკენ, უფრო სწორად, ტკივილების საწყისისკენ, თუმცა მაინც ვერ ვიგებთ, თუ საბოლოოდ რა შეემთხვა. ამ პარალელური თხრობის რეჟიმში ხანდახან ფიქრობ, უფრო მეტად მივიწვევთ წინ თუ პირიქით — უკან ვიხვეთ. წინ უფრო მიდის ამბავი თუ უკან მომზდარს მეტად უბრუნდება. რომელი ტემპი სძლევს, ან იქნებ სადმე შეერწყას კიდევ.

უცნაურია, ამ რეალისტურ ისტორიაში არ გტოვებთ განცდა, რომ კითხულობთ ლექსს. არა, ეს არ არის პოეტური პროზა, მაგრამ მთელი რომანი იმდენად პოეტურია, რომ იბნევიან და ამ დაბნეულ განწყობაში ლივილებით და თან დეტალებამდე ზუსტად განიცდიან თითოეულ ხმას, რომელიც ესმის ჯეიკს, თითოეულ ადამიანს, რომელსაც ის გადაეყვება და არ იცით, ესა თუ ის სახე, რომელიც გამოჩნდა ავსტრალიის ცხელ ფარეხებში, რას მოუტანს მას.

წარწერები იწყება სიკვდილით და მთავრდება სიცოცხლის გაგრძელებით, მარადიულობის და სიყვარულის განცდით.

ჯეიკი ცხვრების მწყემსია, როგორც იესო მწყემსი თავისი სამწყსო ადამიანებით. ესაა რომანი ადამიანის მნიშვნელობაზე და უმნიშვნელობაზე, ესაა რომანი ტკივილზე, ადამიანის კრიზისზე. და როცა კრიზისი ასეთ ტექსტს ანერინებს ავტორს, ეს უკვე კრიზისი კი არა, რეცესანსია — ახალი გზის გაჭრა, სუნთქვა და სიცოცხლე.



ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მხარალთა სახლი
რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ყურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com
ISSN 2346-7940
9 772346 794004